

140 /
1957/3

140/3
ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏԻ



49

Յ. Ունեւոյն

№ 5
ԲՅՈՒՆ
1957





პ. ი. თ. ნ. ე. რ. ი.

საქართველოს ალკა
ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

შინაარსი

გვ.

გ. ტაბიძე—პიონერული (ლექსი)	2
ი. ტაიცი—მხედარი (მოთხრობა, თარგმნა ნ. თოფ- ჩიშვილმა)	3
ისინი პიონერები იყვნენ	6
ს. იორაშაშვილი—გარეული კაცი (მოთხრობა)	8
ლესინგი—იგაეები (თარგმნა ა. კარანაძემ)	15
ალ. ულენტი—ევროპის ირგვლივ (ფოტონარკვევი)	16
მ. კახიძე—მშენებელი კოდალა (პოემა)	19
ლ. ხუბულური—ეუფლებიან ტექნიკას (ნარკვევი)	21
გრ. ზარდალიშვილი—გაზსადენი გროზნო-თბილისი (წერილი)	23
ო. იოსელიანი—ასე მოკვდა მურია (მოთხრობა)	24
გ. ძნელაძე—მზიანი დღე მოდის (ლექსი)	27
ი. ხოშტარია—სამაისო (ლექსი)	27
პრემ ჩანდი—გველის ქვა (მოთხრობა, თარგმნა რ. კიკნაძემ)	28
პლასტუნკელი ქართველი პიონერები	29
მ. ლაკერბაი—ორი არაკი (თარგმნა ე. ჩხიკვაძემ)	30
მოკლედ ყველაფერზე	31
გასართობი	32
„საფესტივალო კაბები“ (წერილი)	32
იუმორი	3

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ალ. ბანძელაძეს, გარეკანის მეორე გვერდზე—მოდ-
მე რესპუბლიკების პიონერული ჟურნალები—ფოტო
შ. ჩხეტიანისა, გარეკანის მეოთხე გვერდზე—„საფეს-
ტივალო კაბები“—ნახატები ო. თავაძისა.
ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: კ. მახა-
რაძის, რ. ცუცქერიძის, გრ. ჩიჩინაშვილის, ნ. შალი-
კაშვილის, ალ. ბანძელაძის, გ. ფოცხიშვილის და
გ. თოთბაძის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიაძე, რ. ელანიძე,
მ. ლეხანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორჭია,
გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი).

გამოცემის წელი
XXXI

საბლიტგამი



5

მაისი
1957

7290



პ ი ო ნ ე რ უ ლ ი

დიდება, მარად დღე
ჩვენს მშობლიურ მთა და ბარს!
აბა ჰე, აბა ჰე,
ბიონერო, მხარი მხარს!

იგრძნობს ბოროტების ხე
კანკალსა და შიშის ზარს—
აბა ჰე, აბა ჰე,
აბა, მივცეთ მხარი მხარს!

დროშების მთელი ტყე,
დაე, გვევლებოდეს გარს!
აბა ჰე, აბა ჰე,
აბა, მივცეთ მხარიმხარს!

მშვიდობის დიდი დღე
დასძლევს გრიგალსა და ქარს,
აბა ჰე, აბა ჰე,
ბიონერო, მხარი მხარს!



მხედარი

1

ხარკოვის სამხატვრო სასწავლებლის პირველ ჯგუფში
ესწავლობდი. ვცხოვრობდი ვაგზლის მახლობლად. ეს
ძალიან ცუდი იყო, რადგან იმ წლებში სამოქალაქო
ომი მიმდინარეობდა, წითლები ებრძოდნენ თეთრებს
და ყველაზე მკაცრი ბრძოლები სწორედ ვაგზლის ახ-
ლოს სწარმოებდა.

1920 წლის აპრილში ჩვენ ხუთი დღის განმავლობა-
ში არ გამოვსულვართ სახლიდან. სადგურთან და მის
მახლობელ ქუჩებში ბრძოლა მიმდინარეობდა. წითლები
იერიშზე გადადიოდნენ. შორიახლოდან განუწყვეტილ
გვესმოდა ხან შაშხანის სროლის ხმა, ხან ტყვიამფრქვე-
ვის კაკანი, ხან ზარბაზნის გრიალი.

როგორც იქნა, მეექვსე დღეს სიწყნარე ჩამოვარდა.
სიჩუმეში უცბათ მოისმა ცხენის ფეხის ხმა, იგი თან-
დათან ახლოვდებოდა. გამბედაობა მოვიკრიბე და ფან-
ჯრიდან ეზოში გავიხედე. იქ მხედარი დაეინახე.

მას ტანჯული, დაღლილი, მაგრამ ბედნიერი სახე
ჰქონდა. მხედარი უზანგებზე შედგა. წამოიწია და დაი-
ძახა:

— სონია! სონია!..

ჩვენს ეზოში ცხოვრობდა ერთი გოგონა, — სონიას
ეძახდნენ. სონიას ძმა ჰყავდა — გრიცკო, რომელიც
სადგურის დეპოში უროს დამრტყმელად მუშაობდა.
როდესაც დენიკინელები მოვიდნენ, ის სადღაც გაჰქრა.

და აი, ახლა ვიცი — გრიცკო იყო. მაგრამ რო-
გორი გრიცკო! რაღაც განსაკუთრებული, რაღაც გმი-
რული. ხელში ხმალი ეჭირა და იძახოდა:

— სონიააა!..

ჩვენი სახლის სარდაფიდან ამოვიდა სონია და ძმას
მივარდა. გრიცკო ცხენიდან არ ჩამოსულა, დაიხარა და
დაუწყო დას კოცნა თვალებში, ცხვირზე და თავზე..

შემდეგ დაიძახა:

— გამოდით ყველანი გარეთ! ხარკოვი ჩვენი! —
თან ოფლიან სახეს იწმენდდა.

ყმაწვილები მთავარი ქუჩისაკენ გავიქეციით.

ქვაფენილზე მოაბიჯებდნენ ქუჩკიანი, გაოფლილი,
წვერგაუპარსავი, ჩექმებდავლეჯილი, მძიმე ბრძოლებში
მოქანცული წითელარმიელები.

ქუსლებს მოაბაკუნებდნენ და მოიმღეროდნენ:

„გაბედულად წავალთ ომში,
რომ დავიცვათ საბჭოეთი!“..

ქუჩის გასწვრივ ხალხს თავი მოეყარა. ქულებს მალ-
ლა ისროდნენ, ცხვირსახოცებს აფრიალებდნენ, ხელს
უქნევდნენ — ესალმებოდნენ წითელარმიელებს.





ახალი ცხოვრება დაიწყო სამხატვრო სასწავლებელში. გავიგე, რომ ბოლშევიკების საგუბერნიო კომისარმა კონკურსი გამოაცხადა საუკეთესო სამაისო პლაკატზე.

მე გადავწყვიტე პლაკატი დამეხატა. მშურდა უფროსი მხატვრების ბედი, ვფიქრობდი: რატომ მეც არ უნდა ვცადო ჩემი ძალა?! ვცდი, ვნახოთ, ცდა ბედის მონახევრეა-მეთქი.

მაგრამ რა დაეხატო? უცბად წარმოვიდგინე გრიცკო, სწორედ ისეთი, როგორიც მაშინ იყო, ეზოში რომ შემოვიდა ბრძოლის შემდეგ: ცხენზე ამხედრებული, ხელში ხმლით, თავზე წითელვარსკვლავიანი „ბუდიონოვკით“.


ავიღე ქაღალდი და დავიწყე გრიცკოს ხატვა. ბევრჯერ წავშალე, გავასწორე, შემდეგ კი, როდესაც ისე დაეხატე, როგორც საჭირო იყო, ქვეშ მივაწერე სიტყვები იმ ლექსიდან, წითელარმიელები რომ მღეროდნენ.

ჩავდე ეს ნახატი ჩემი ხელით გაკეთებულ კონვერტში და წავიღე კომიტეტში. პაპიროსის კვამლით გაბურულ ოთახში იჯდა ტყავის ქურთუკში გამოწყობილი გოგონა. მას ამხანაგ მუსიას ეძახდნენ. დამინახა თუ არა, გაოცებით შემეკითხა:

- შენ რა, ბიჭუნავ, ესკიზი მოიტანე?
- დიახ! — მორცხვად ვუპასუხე მე.
- მაშ კარგი, დატოვე, ერთი კვირის შემდეგ შემოიარე.

კომიტეტიდან გამოვედი. გზაზე მოხუცი მხატვარი ნიკოლენკო წამომეწია. წვერზე ხელი მოისვა და თქვა:

— არა ძმაო, პლაკატი ჯერ შენთვის ადრეა. აქ ძმაო, საჭიროა გამოცდილება, კეკუა, მასშტაბი, ერთი სიტყვით...



მეჭვითონაც წგროძობდი, რომ ეს საქმე ჩემთვის ჯერ მიუწვდომელი იყო. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ მაინც წავედი კომიტეტში. კიბეზე შევნიშნე ნიკოლენკო. ის იდგა კედელთან და მოწონებული ესკიზების სიას ჩასცქეროდა... შემნიშნა თუ არა, დამიძახა:

— შეხე! — და თითი დაადო სიას.

მე მეგონა თავის გვარზე მითითებდა. ნაცვლად კი წავეკითხე:

„მიეკუთვნოს ესკიზს პლაკატისათვის — „გაბედულად წავალთ ომში, რომ დავიცვათ საბჭოეთი!...“ — მესამე პრემია“.

საკუთარ თვალებს არ დავუჯერე და ამხანაგ მუსიასთან გავიქეცი.

— დიახ, — თქვა მან, — თქვენი ესკიზი მოეწონა კომისიას. ის მებრძოლი ძალიან კარგად გამოგივიდათ. თითქოს ცოცხალი იყოს! მომილოცავს! მიიღეთ პრემია.

მან გამომიწერა ქვითარი და იქვე, კომიტეტის სალაროში, ფულების უშველებელი დასტა მივიღე — ორმოცი მილიონი მანეთი.

მართალია, მილიონებს მაშინ ფასი არ ჰქონდა, მათ „ლიმონებს“ უწოდებდნენ, მაგრამ მე მაინც გავხდი მილიონერი.

ჩემი ესკიზი სხვა პრემირებულ ესკიზებთან ერთად გადაეცა სამხატვრო სასწავლებელს, სადაც მათ მოხუცი, გამოცდილი მხატვრები ადიდებდნენ.

8

პირველი მაისის დილას ქუჩაში გავედი და ვაგზლის წინ დიდ პლაკატს მოეკარი თვალი. ეს იყო ჩემი ცხენოსანი გრიცკო. გადავდგი კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ხელახლა დავინახე გრიცკო.

პავლოვის მოედანზე ეს გრიცკოები უკვე ბევრი იყო. ჩანს ნიკოლენკოს გულმოდგინედ ემუშავა.

მაგრამ პლაკატების თვალყურების დრო აღარ იყო: იწყებოდა სამხედრო ნაწილების პარადი. ჩაიარა ფეხოსანმა ჯარმა, ჩაიარეს მეტყვიამფრქვევეებმა, ცხენოსანებმა. და აი, მათ შორის ცოცხალი გრიცკო შევნიშნე. როდესაც ყველა ერთ კოლონად მოეწყო, ვეღარ მოვითმინე და მივირბინე მასთან.

— ამხანაგო გრიცკო, — შევძახე მე, — იცნობთ? — და პლაკატზე მივუთითე.

— ვინ არის?

— ეს ხომ თქვენა ხართ!

— მე? რას ამბობ?

ის დააკვირდა პლაკატს.

— ეს ხომ მე დავხატე! მაშ, ჩემი ესკიზის მიხედვით არის!..

გრიცკოს გაეცინა:

— მაშ, თუ არ ხუმრობ, მაღლობელი ვარ!

მან ხელი გამომიწოდა. ხელები სულ დაკოჭრილი ჰქონდა. მაგრად ჩამოვართვი ხელი. იმას კი არ ვუმაღლოდი, რომ მისი წყალობით მილიონერი გავხდი, არა, მაღლობელი ვიყავი იმისათვის, რომ ის იყო მიზეზი, — უბრალო მოსწავლე ბიჭი ნამდვილი მხატვარი გავმხდარიყავი. ამაში მე პირველ მაისს დავრწმუნდი.

შემდეგ დემონსტრაცია ჩატარდა. მივაბიჯებდი სხვებთან ერთად მთავარ ქუჩაზე და ყველგან ვხედავდი გრიცკოს. რომ დამეთვალა, ასამდე გრიცკოს მაინც დავითვლიდი იმ მშვენიერ მაისის დილით ქალაქ ხარკოვში. ჩემი გრიცკო ცხენს ვაყვავურად მოაქენებდა. თითოეულ გრიცკოს ქვეშ ეს მშვენიერი სიტყვები ჰქონდა მიწერილი:

„გაბედულად წავალთ ომში, რომ დავიცვათ საბჭოეთი“.



ისინი პიონერები იყვნენ



საზეიმო განწყობილებაა პიონერთა რაზმეულებში. ეს გასაგებია: მიმდინარე წლის 19 მაისს 35 წელი შეუსრულდა სახელოვან ლენინურ პიონერულ ორგანიზაციას. ეს დიდი ზეიმაა საბჭოთა ბავშვების ცხოვრებაში. დიდი სიხარულით მიეგებნენ ამ დღეს მილიონობით უფროსებიც, რომლებმაც ბავშვობის საუკეთესო დღეები ლენინურ პიონერულ ორგანიზაციაში გაატარეს.

1922 წელს კომკავშირმა პარტიის დავალებით შექმნა ერთიანი პიონერული ორგანიზაცია. 1924 წელს პიონერულ ორგანიზაციას უკვდავი ლენინის სახელი

მიენიჭა. სწორედ ამას მიეძღვნა იმავე წლის 23 მაისს მოსკოვში, წითელ მოედანზე გამართული პიონერთა პარადი, იქ, მოსკოველმა პიონერებმა, საბჭოთა კავშირის პიონერების სახელით, საზეიმო ფიცი დასდეს, რომ მუდამ იქნებოდნენ საბჭოთა ქვეყნისა და კომუნისტური პარტიის ერთგულნი.

საბჭოთა კავშირის პიონერული ორგანიზაცია მისაბაძი, სამაგალითო გახდა სახალხო დემოკრატიისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ბავშვთა ორგანიზაციებისათვის. გულისხმიერებითა და პატივისცემით ეცნობიან მის გამომცდილებას ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები.



დედის ნაამბობი

ზოია კოსმოდემიანსკაიას და ჩარკინას გვერდით, გასტელოსა და ოლეგ კომევიის გვერდით, საბჭოთა ადამიანებს მუდამ ახსოვთ ქართველი გმირის შოთა გამცემლიძის სახელი. საბჭოთა სამშობლომ გაზარდა იგი,

და აკი შოთამ სიცოცხლეც არ დაიშურა მისთვის.

შოთა გამცემლიძის სახელი სათაყვანებელ სახელად გადაიქცა საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, თქვენთვის — პიონერებისათვის. მაგრამ იყო დრო, როდესაც შოთა გამცემლიძე თქვენსავით დადიოდა სკოლაში, რაზმის შეკრებაზე, „ხუთებზე“ სწავლობდა და სამაგალითო პიონერი იყო. აი, რა გვიამბო შოთას დედამ, პედაგოგმა ნინო გამცემლიძემ:

„შოთა რომ პიონერთა რიგებში მიიღეს, უცებ დადინჯდა. პირნათ-

ლად ასრულებდა ყოველგვარ დავალებას. უყვარდა წიგნების კითხვა, განსაკუთრებით იზიდავდა საგმირო ხასიათის წიგნები. მისი საყვარელი გმირი სამშობლოსათვის თავდადებული ცოტნე დადიანი იყო. თვითონაც გმირობაზე ოცნებობდა.

ასეთი იყო შოთა — მკვირცხლი, გულკეთილი, გულისხმიერი და ყველასათვის საყვარელი.“

სამშობლო უნდა ვასახელო!

ეს იყო 1943 წელს. თბილისის 28-ე საშუალო სკოლის მოსწავლე, პიონერი გივი კარტოზია აღელვებული დაბრუნდა სახლში. [რაზმის მორიგ შეკრებაზე ბავშვებმა დიდხანს ისაუბრეს სამამულო ომში საბჭოთა არმიის მამაცური ბრძოლის შესახებ, საბჭოთა კავშირის გმირების შესახებ.



„პირობას ვიძლევი ვიცხოვრო და ვისწავლო ისე, რომ გავხდე ჩემი საბჭოთა სამშობლოს ღირსეული მოქალაქე!“

დაამთავრა საზეიმო დაპირება რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის მესამეკლასელმა ნანი ჩიგოგიძემ და აღელვებული მიუახლოვდა უფროს პიონერულმძღვენელს. აი, სანატრელი წითელი ყელსახვევი. რამდენი უოცნებიათ მას და ნოდარ ჭავჭავაძის ამ ყელსახვევზე, დღეს ახლა მათი ოცნება. ოლეგ კომევიის სახელობის რაზმეულის შეკრებაზე ისინი პიონერთა რიგებში მიიღეს.





უ. ბაგდასარიძე



ბ. კარტიშვილი



ი. ჭიჭიშვილი



ა. მახარაძე

„ჩვენ კი მხოლოდ წიგნებსა და გაკვეთილებს ჩავჩინებთ, — ფიქრობდა გივი, — მეც უნდა წავიდე იქ, სადაც ბრძოლაა. მეც უნდა ვასახელო სამშობლო!..“

გადაწყვიტა და მაშინვე საქმეს შეუდგა. მას მეზღვაურობა იზიდავდა, ამიტომაც ბათუმისაკენ აიღო გეზი. როგორც იქნა ჩააღწია სანატრელ ქალაქში, მაგრამ პატარა ბიჭუნას საზღვაო სასწავლებელში ვინ მიიღებდა? უფროსებმა სიყვარულით ახედ-დახედეს, როცა გივიმ განაცხადა, სამშობლო უნდა დავიცვაო, მაგრამ სასწავლებელში მიღებაზე კი მაინც უარი უთხრეს: ჯერ პატარა ხარ, გაიზრდები და მერე უფრო გამოადგები სამშობლოსო.

მეტი გზა არ იყო, სახლიდან გაპარული გივი შეშფოთებულ დედას დაუბრუნდა და სკოლაში სიარული გააგრძელა. ერთი ოცნება კი მაინც არ ტოვებდა: სურდა სამშობლოს ღირსეულ შვილად გაზრდილიყო.

ძვირფასო ბავშვებო, დღეს რომელი თქვენგანი არ იცნობს გივი კარტოვიას. მართალია, იგი მეზღვაური კი არა, მოკიდავე გამოვიდა, მაგრამ, აბა, რომელი პიონერი არ დაგვეთანხმება, რომ მან მართლაც ასახელა ჩვენი საყვარელი სამშობლო.

გმირის ბავშვობა

საბჭოთა კავშირის გმირი, არქიტექტორი — ხელოვნებათმცოდნე ირაკლი ციციშვილი პიონერული ორგანიზაციის გაზრდილია. იქ გამომუშავებული ჩვევები და მისწრაფებანი დღემდე შემორჩა მას, როგორც საბჭოთა მოქალაქეს. ირაკლის ბავშვობაშივე უყვარდა წიგნი, ჰქონდა კარგად შერჩეული და მოვლილი ბიბლიოთეკა. ასევე იზიდავდა ხელოვნება, აგროვებდა ცნობილ მხა-

ტვართა ნაწარმოებების რეპროდუქციებს. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ მომავალი გმირი მხოლოდ წიგნებს ჩასცქეროდა, იგი გატაცებული იყო სპორტის თითქმის ყველა სახით. ამიტომაც, რომ ირაკლი ციციშვილმა ასე მოგმართათ ბავშვებო:

„მე ვუსურვებ ახალ თაობას ჯანმრთელობას, გაკაყებას, ვუსურვებ იყოს თავისი ქვეყნის ღირსეული თაობა და გატაცებით უყვარდეს ჩვენი შესანიშნავი სამშობლო“.

ნიჭიერი მხატვარი

ოციოდე წლის წინ, ოჩამჩირის ქართული 1 საშუალო სკოლის პიონერთა ოთახში რაზმეულის კედლის გაზეთის რედკოლეგია მორიგ ნომერზე მუშაობდა. ყველა მასალა მზად იყო, მოიხაზა მაკეტიც და... პიონერები დაღონდნენ.

— რაშია საქმე? — იკითხა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა და, ვიდრე პასუხს მიიღებდა, თვითონვე მიხვდა: კედლის გაზეთს მხატვრული გაფორმება სჭირდებოდა, — მხატვარი კი არ იყო.

— არის! ვიპოვე! — წამოიძახა ერთმა მათგანმა. — ჩვენი კოკი გააფორმებს, მახარაძე.

... და იმ დღიდან მოყოლებული კ. მახარაძეს სამხატვრო ფუნჯი და პალიტრა აღარ მიუტოვებია. იმ დროს თქვენებრ პიონერი, დღეს მოწინავე მხატვართა რიგებში დგას. მისმა ფუნჯმა მრავალი შესანიშნავი ტილო შექმნა. მისი სადიპლომო ნამუშევარი — „სუვოროვი და ბაგრატიონი ალპებში“ — საყოველთაო მოწონებას იმსახურებს. ალბათ ბევრმა თქვენგანმა წაიკითხა კ. მახარაძის მიერ დასურათებული ლ. ქიაჩელის „დათუა“, გ. აბაშიძის „ვინ დიდი და ვინ პატარა“, გ. კაჭახიძის „სწავ-

ლასა და სინარულში“. გარდა ამისა, ჟურნალ „პიონერის“ თითქმის ყოველ ნომერში შეხვდებით ნიჭიერი მხატვრის ნამუშევრებს, რასაც იგი დიდი მონდომებითა და სიყვარულით ასრულებს.

შრომის სიყვარული

ვის არ გაგიგონიათ სოციალისტური შრომის გმირის, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატის ილია ჭუმბურიძის სახელი. ბევრმა თქვენგანმა ალბათ ისიც იცის, რომ ძია ილია ამჟამად 1975 წლის ანგარიშში მუშაობს და წარმოებას წელიწადში 50 ათასი მანეთის ეკონომიას აძლევს.

შრომის შემდეგ სახლში დაბრუნებულ ილიას მხიარული სიცილით ეგებება სამი შვილი, სამივე პიონერი. და ხშირად, ბედნიერი მამა უყვება მათ საკუთარი ბავშვობის შესახებ. აი, ქუთაისის რაიონის სოფელ ნახშირღელეს სკოლა, სადაც იგი პიონერთა რიგებში მიიღეს. მთელ სკოლაში გამოირჩეოდა ილია, არა მარტო სწავლით, არამედ შრომისმოყვარეობითაც. იგი მულამ ეხმარებოდა მშობლებს საოჯახო საქმეში, დასდევდა მამას ვენახსა და ყანაში, თოხნიდა, ბარავდა, სხლავდა და მკიდა. შრომისადმი სიყვარულმა მიიყვანა ილია ჭუმბურიძე ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. მას ხშირად უწყობენ შეხვედრებს, იწვევენ ყველგან. მაგრამ ილია ჭუმბურიძეს ყველაზე მეტად თქვენთან შეხვედრა ახარებს ხოლმე, პიონერებო, რადგან თქვენსავით ისიც პიონერთა რიგებში გაიზარდა, იქ იგრძნო პირველად სწავლისა და შრომის დიდი სიყვარული.



ტარუჯა ეუკი

ს. იორაშვილი

ნახ. რ. ცუციქიძისა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

თავი მეთხმე*

გათავდა მირიანის პატიმრობა. მოგონებდა და რჩა კარავში ცხოვრება. ახლა უკვე მატარებლით მიგრიალებს თბილისისაკენ. მართალია, ვახტანგის შარვალი და მაისურა აცვია, ფენშიშველაც არის და ერთი კვირით ჭალაში ყოფნამ მთლად შეუცვალა ფერი, მაგრამ სამაგიეროდ ახლა თავისუფალია. მიდის თბილისში, სადაც შეხვდებიან მშობლები, დიდუდა და პაპა, სხვა ნათესავები და მეგობრებიც, რომლებიც მას თურმე მკვდრად თვლიან.

ახეთი ფიქრებით იყო გართული, როცა მატარებელი თბილისის სადგურზე ჩამოდგა. გადმოვიდა ბაქანზე ოცელოვარამიანი ლოქოთი, რომელიც ზურგზე ჰქონდა წამოკიდებული ვეებერთელა თავით, ბოლოთი კი ძირს მისთრევდა. ცხადია, ყველას ყურადღება ახეთმა უცნაურმა მეთევზემ მიიპყრო. არც ბადე ჰქონდა, არც ჩანგლები სადმე, ამოდენა თევზი კი დაეჭირა. ვახტანგისეული უბრალო მაისურა და გაცვეთილი შარვალი ეცვა და ფენშიშველი მიტყაპუნებდა.

ქალაქის სადგურზე რომ მიმოიხედა მირიანმა, ტელეფონის ჯიხურს მოჰკრა თვალი. უცებ მშვენიერმა აზრმა გაუფიქრა თავში: მამაჩემის რომელიმე ამხანაგს დაფურეკავო სამსახურში, ის შინ

დარეკავს და შეამზადებს ჩვენებს, როგორც „გარეულმა კაცმა“ დამარიგაო. მაგრამ მაშინლა გაახსენდა, რომ ჯიბეში ერთი გროშიც არა ჰქონდა, დასარეკად კი სამშაურნიანი იყო საჭირო. ჯიბე მაინც მოიქექა, მაგრამ შიგ რაც არა ჰქონდა, რა გაჩნდებოდა? შემდეგ ისე, სხვათაშორის დაჩნაკუნა ავტომატი. იღებდა ავტომატმა სამშაურნიანი ჩამოაგდო. ბიჭს გახარდა და ისარგებლა ავტომატის წყალობით.

ამ დროს ჯაფარიძეების ოჯახში მორიგი სამგლოვიარო დღე იწყებოდა. მირიანის მშობლები ემზადებოდნენ იმ ადგილზე წასასვლელად და გულის მოსაონებლად, სადაც მათი აზრით მირიანის დაიხრია. ტირილით და უჭმელობით მისუსტებული ეთერი სულ იმას ემულდარებოდა ქმარსაც და მამამთილსაც, — წამიყვანეთო. გიორგის უკვე მოეყვანა მეგობრის ავტომანქანა და წასასვლელად მზად იყო.

ამ დროს ტელეფონმაც დარეკა:

— უთხარი შინ არ არის-თქო! — უკმაყოფილოდ გასძახა დედას გიორგიმ და არც აპირებდა ტელეფონთან მისვლას, მაგრამ დედამ უთხრა სამსახურიდან გირეკავენო, და მივიდა.

— ვისმენთ! დიას, გიორგი ვარ. რაო? შაა? მოიცა, მოიცა, გეთავუვა! ეგ როგორ? ძალიან ნუ ყვირიხარ. აჰა, კარგი, კარგი, აქ ვიქნები... — ამ ლაპარაკის დროს გიორგის სახე გაუფითრდა, ხელები აუკანკალდა და სკამზე ჩამოჯდა.

* გაგრძელება. იხ. პიონერი № 4.



— რა იყო, შვილო, დედა გენაცვალოს, რა მოგივიდა?— მიემ-
ველა ტასო, როცა შეატყო ასეთი აღლევება. გიორგიმ აქეთ-იქით
მიმოიხედა, ეთერი ხომ არ გვისმენსო, და ძლივს თქვა:

— რა ვიცი, დედა, მირიანი უპოვანიათ, თუ არ მატყუებენ...
— მადლობა ღმერთს, მკვდარი რომ მაინც აღარ დაგვეკარგა!—
შესტერა ტასომ.

— რის მკვდარი, ცოცხალიაო, დედი, ახლაც აქ მოიყვანენ.
ედიშერისათვის დაურეკია სადგურიდან, ისიც სასწრაფოდ მისულა
იქ და ახლა შემატყობინა — ეთერი შეამზადე ბავშვის შესახვედრადო.

თვითონ გიორგისთვისაც ძნელი ასატანი იყო სიხარულის ასეთი
მეხი და სულ მთლად ცანცანებდა. მაგრამ მაინც თავს ძალა დაა-
ტანა და ეთერის გასამხნეველად წავიდა. გიორგიმ ხელი მოხვია
ნამტიარაღვე მიუღლეს და, რამდენადაც შეეძლო, დამშვიდებულმა
უთხრა:

— ნულარ იტირებ, დამშვიდდი, ეთერი სულ ტყუილად გვიგ-
ლოვია, მირიანი ცოცხალია და არაფერი არა სტიკია. აი, ახლა ის
და ედიშერი მანქანაში სხედან და საცაა მოვლენ. გაფრთხილებ,
მოემზადე შვილის შესახვედრად, ცუდად არ გახდეს...— ეუბნებოდა
მიუღლეს და ამზადებდა დიდი სიხარულისათვის.

ეთერი გაშტერებული შეჰყურებდა ქმარს სახეში და უნდოდა
გამოეცნო, მართლა მიუბნებია, თუ ჰკუთინდა შეიშალაო. მაგრამ ამ
დროს ეზოში მანქანაც შედგა. იქიდან ჯერ ედიშერი გადმოვიდა
და შემდეგ მირიანიც, თავისი ვეება ლოქოთი. მიუხედავად იმისა,
რომ თითქოს კიდევაც შეამზადეს ეთერი, მაინც ძალამ უმტყუნა
დედას. ერთი კი შეშავდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა,— მირიან-
ი, — და ჩაიკეცა.

*

„გარეულმა კაცმა“ მირიანი რომ თბილისში გაისტუმრა, სად-
გურის ბუფეტში ტკბილეული იყიდა და დაბრუნდა თავის ნავთან,
სადაც მარტოდ დარჩენილი შვილი ელოდებოდა. ასეთი რამ სხვა
დროსაც მომხდარა: ვახტანგი მარტოდ დაუტოვებია მამას და, როცა
დაბრუნებულა, ყოველთვის ხალისიანად შეხვედრია ბავშვი. მაგრამ
ახლა ისეთი სევდიანი სახე ჰქონდა ბიჭს, რომ მამა იძულებული
იყო ეკითხა, რატომ იყო დაღონებული.

— არა ვარ დაღონებული, მამი რაზე მატყობ დაღონებას?—
იცრუა ბავშვმა და სცადა მხიარული სახე მიეღო, მაგრამ მამას
რას მოატყუებდა. ყმაწვილი მირიანის წასვლის გამო იყო გულდა-
წყვეტილი, და მამა აღარ ჩასციებია, რადგან ძალიან კარგად იცო-
და მიზეზი.

— აი, შვილო, ტკბილი ნამცხვრები მოგიტანე. შენთვის ახლა
საჭიროა ტკბილეული, მოგამაგრებს, ჯანზე მოგიყვანს. კარგად
რომ იქნები, ავადუგუნოთ ჩვენი მოტორი და მოვუსვათ საითაც
გინდა. თუნდა მინგეჩაურისაკენ წავიდეთ. იქიდან კი ორი გზა
გვაქვს ნავთ სასიარულო. ერთი გზით იორს შემოვყვებით და გა-
რე კახეთში ამოვალთ, მეორე გზით კი ალაზანს ავყვებით და შიგ-
ნითა კახეთს მივადგებით. თუ გინდა აქედანვე უკან ვაბრუნდეთ
და მდინარე ხრამს ავყვით ბორჩალოში. შენ რომელს ირჩევ? საი-
თკენ უფრო მიგიწევს გული? მტკვრის ხეობაში კი ჯერჯერობით
არ შეიძლება ჩვენი გაჩერება. უკეთესია გავცვალოთ, რას იტყვი?

მოგზაურობის გაგონებამ ბავშვი მართლაც გაახალისა, თვალები
სიხარულით აენთო. მოგზაურობა მათს ერთფეროვან ცხოვრებას,
რაც არ უნდა იყოს, მაინც შეცვლის, თორემ მოსწყინდა ერთი და
იგივე. რაც თბილისიდან წამოვიდნენ, სულ ერთნაირ სურათებს
უყურებდნენ. როგორც საქართველო, ისე აზერბაიჯანის ტერიტორია-
ზე მტკვრის ნაპირები ერთმანეთს ჰგვანან. ყველგან ერთნაირად
ჩამუჭებული ვერხვისა და ტირიფის ჭალები, მარცხენა ნაპირზე—
ერთფეროვანი ხრიოკი გორაკები, სადაც თვალი ვერაფერზე შე-
ჩერდება. მართალია, მამა მტკვარში იმდენ თევზს იჭერს, რომ ერთ
ლუკმა პურსა სჭამენ და უსაჭიროების წვრილმანი ნივთების საყიდ-
ლადაც ყოფნით, მაგრამ, თუ კი მართლა საშიშია მტკვარზე დარ-
ჩენა, რატომ უნდა ჩაიგდონ ხიფათში თავი? წავლენ, იქაც მდინა-

რებია, იქაც ითევზავებენ და, როგორც იქნება, იცხოვრებენ...
ოღონდ მართლა ციხეში ნუ ჩასვამენ მამას...

ასეთი ფიქრებით გახალისებულმა ვახტანგმა მართლაც გემ-
რიელად შეჭამა მამის მოტანილი იაფფასიანი ტკბილი ნამცხვარი.

მოტორის ჩასართავად მზადებას შეუდგნენ. იმ ადგილებიდან
სწრაფი სვლით უნდა წასულიყვნენ. მამამ გააფრთხილა: თუ სადმე
შორიდან ხალხს შეამჩნევდნენ, მოტორი უნდა გამოერთოთ, რომ
ყურადღება არაფრით მიექციათ, და ისე აევილოთ გვერი, რომ
სახეც არ დაენახებინათ შემხვედრებისათვის. შვილი გულდასმით
უსმენდა მამის დარიგებას, ყველაფერში ეთანხმებოდა. ერთ ხანს
სიჩუმე ჩამოეგარდა, ბოლოს ის სიჩუმე ისევ მამამ დაარღვია:

— აი, ვახტანგ! საწერი ქალაღი რომ გეკონოდა საკმაოდ და
დღიურის წერა გეწარმოებინა, მე მგონი ძალიან კარგი იქნებოდა.
ჰა, რას იტყვი?

ბავშვს ასეთი რამ აზრადაც არ მოსვლია ადრე და ამ წინადა-
დებაში ძალიან დაინტერესა. წარმოიდგინა რომ, დიდი და გამოჩე-
ნილი მოგზაურების მსგავსად, მანაც აღურებელი საინტერესო მა-
სალა დააგროვა. გატაცებით კითხულობენ ბავშვები, შენატრიან
ვახტანგს, რომ ასეთი ამბების შემსწრე გახდა უშუალოდ, მის სა-
ხელს ყველგან პატივისცემით იხსენიებენ. მისი სკოლის მეგობრები
ამაყობენ იმით, რომ ასეთ მრავალ განსაცდელს გამოვლილი მეგო-
ბარი ჰყავთ. მართლა, რა კარგი იქნებოდა საკმაო ქალაღი ჰქონოდა.

ამ ფიქრებში რომ იყო ყმაწვილი გართული, წარმოიდგინა,
რომ ქალაღიც საკმაო აქვს და დროც, მაინც რა უნდა დაწეროს,
რითი უნდა დაიწყოს?

— მამი, ქალაღი რომ ბევრიც მქონდეს, რა უნდა დაწერო?
აბა რა არის სხვისთვის საინტერესო ჩვენი ცხოვრებიდან.

— რას ამბობ, ვახტანგ! გააჩნია ვინ წაიკითხავს! ვისაც დევნი-
ლი ადამიანის ბედი აინტერესებს, იმისთვის ბევრი რამ არის საინ-
ტერესო. თუნდაც ის ამბავი, რომ მირიანი ჩვენი განსაკუთრებული
მდგომარეობის გამო, ჩვენდა უნებურად იმდენ ხანს გვაკვდა ტყვედ-
ან, რა გორ მოგიტანეთ მისი სულის მოსახსენიებლად დაკლული
თხა და როგორ გემრიელად შეგეკეთოდით სამ დღეს. განა ეს საინ-
ტერესო არ იქნება? გარდა ამისა, გზადაგზა კიდევ ვინ იცის რამ-
დენი რამ გადაგვხდება თავს და, თუ კი კარგად ასწერ, ჩემი აზ-
რით, ინტერესმოკლებული არ იქნება.

დღიურს თუნდაც ამით დავიწყებდი... აი, შეხედე, ვახტანგ...
ის ქედნების გუნდი როგორ დაგვტრიალებს თავს და თითქოს გვა-
ცილებდნენ. ურიგო არ უნდა იყოს, ჰა, რას იტყვი? ქედნების გაცილე-
ბა ცუდად არ უნდა დავცვალოთ. ყვავები რომ ყოფილიყო, ცრუ-
მორწმუნე არა ვარ, მაგრამ გულში მეწყინებოდა, ორიოდეს მაინც
ჩამოვადებდი. ქედნები კი, პირიქით, ბედნიერებისა და მშვიდობის
მანარობლებია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მდგომარეობაში
მყოფი ხალხისათვის ამჟამად მაგათი დახოცვა უფრო ხელსაყრე-
ლია და არავითარ შემთხვევაში არ დავიწუნებდით ჩახოხილ ქედ-
ნებს, მაინც ხელს არ ვახლებ. დაე, იფრინონ ჩვენს ირგვლივ,
გაგვაცილონ. ბედნიერი და მშვიდობიანი იყოს ჩვენი მგზავრობა.

*

მირიანის ოჯახში ის უსაზღვრო ურვა-გლოვა, უსაზღვრო სი-
ხარულითა და მხიარულებით შეიცვალა. ეთერი რომ გონს მოვიდა
და თავისი ბიჭის აღერსით გული იჯერა, ერთი ჩაათვალიერა მი-
რიანის ჩაცმულობა და მისი პირველი სიტყვა ეს იყო:

— გიორგი! წადი და ყველაფერი ახალი მხოტორებული გვაქვს,
რაც კი მაგას ტანისამოსი ჰქონდა, მთლად გამოტორებული გვაქვს,
ცრემლდანადნაღვს კი არაფერს ზედ არ ჩავაცმევ...

და არც ირავნი აზხიარებია,— ყველაფერი სასწრაფოდ მოუტანეს.
და იმავე საღამოს ჯაფარიძისთან ოჯახში იგივე ხალხი, რომელიც
ერთი კვირის წინ გიორგისა და ეთერის ცოდვით იწვოდა, ახლა
სიხარულის გასაზიარებლად შეიკრიბა.



მიტკა-რუსი მეთათხედ ეუბნებოდა დათა-პაპას:

— დავით გრიგორიჩი მე ხომ ვითხარი, შა, მე ხომ ვითხარი? მაგისი დახარობა როგორ შეიძლება წყალში, როცა აგეთი ბანაობა იცის-მეთქი, ხომ გეუბნებოდი, შა? ხომ გეუბნებოდი?

დათა-პაპა, ამ ლაპარაკით გაბეზრებული, მიტკას ყურადღებასაც აღარ აქცევდა, თავის შვილიშვილის ცქერით ველარ ძღებოდა და თან უსაყვედურებდა:

— ბიჭო, მაინც აგრე ხბოხავით როგორ დაგვიჭირეს იმ ოხრებმა რომ, ერთი ხმა ველარ მოგვაწვდინე? ანა გრცხვენია, რა დღეში ჩავყარე შე შერცხვენოლო, შენა! ერთი დაგეძახნა და მე ვაჩვენებდი იმას, ვიდაც ავაწაკი იყო, როგორ უნდა სხვისი შვილის დაჭერა!

ყველა სიცილით იგულებოდა, როცა მირიანმა სტუმრებს უამბო: დიდდანიშნის დავლული თხა მოიტანა იმ კაცმა და სამ დღეს შევექცეოდითო. მაგრამ ეს გახარებული ხალხი, როცა გახსენებდა იმ სიმწარეს, რაც უტნობმა ჯაფარიძეების ოჯახს მიაყენა, რისხვით იგებოდა—ვერადერთ ვერ ებატებიანთ „გარეული კაცისათვის“.

გარეუნი ხალხი რომ დაიშალა და შინაურები დარჩნენ, გოორგი და სამსხურიდან მისი უახლოესი ამხანაგები დიდხანს მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ ჩაეგდოთ ხელში ის უტნობი და როგორ გადაეხადნათ მისთვის სამაგიერო. ამის შესახებ მსჯელობა მეორემესამე დღესაც გაგრძელდა. მირიანს ათასგვარ კითხვას აძლევდნენ, რომ იმ კაცის რაიმე კვალისათვის მიეცნოთ, მაგრამ ბიჭმა მისი არც გვარი იცოდა, არც სახელი, არც შროფებისა და არც არავის მის ნაცნობს იცნობდა.

— ვერც ის გაიგე, მირიან, რომელ რაიონში ცხოვრობდნენ?— შეეკითხა ედიშერი.

— არაფერი არ ვიცი, ძია ედიშერი. არ მეუბნებოდნენ და რა უნდა მექნა? ერთხელ ეშმაკად მამის სახელი ვკითხე იმ ბიჭს და ისე აღელდა, რომ შემეშინდა, აქ არაფერი დაემართოს ავადმყოფს-მეთქი, და თავი დავანებე.

საგონებელში ჩავარდა ედიშერი. ორ დღეს ალაპარაკებდა მირიანს, ხელმოსაკიდებელი კი ვერაფერი ჭაიგო მისგან. უნდა ითქვას, ბიჭიც დაინტერესებული არ იყო იმ კაცის გამომჟღავნებაში, რადგან წამოსვლის დროს სიტყვა მისცა, ძებნას არ დაგიწყებთო. ოღონდ სრულიად შემთხვევით, ერთხელ ის უამბო მირიანმა, თუ როგორ დახოცა ვანტანგის მამამ ერთ დღეს მამალი ხოხბები და ნამდვილი ჩახოხბილით როგორ გაუმასპინძლდა მას და ვანტანგს. ამ სიტყვების გაგონებაზე ედიშერს სახე გაუწნა და თავისუფლად ამოისუნთქა.

— ეგრე გეთქვა, ბიჭო, ამდენი ხანი რად მაწვალე და ამომადრე სული! მაგას ხომ ახლავე დავადგენთ ვინც არის. როგორც შენ ამბობ, ორი გასროლით ორი მამალი ხოხობი ჩამოაგდო იმ კაცმა. თუ არა სტყუიხარ და არ აჭარბებ, მაშინ ერთი რამ უდაოა: ასეთი მსროლელი სანადირო თოფის შემთხვევითი მფლობელი კი არა, ნამდვილი მონადირე უნდა იყოს და მონადირეთა კავშირშიც აუცილებლად იქნება აღრიცხული. მისი ფოტოსურათიც უსათუოდ ექნებათ იქ საადრიცხვო საბუთებში. აბა, ახლა წავიდეთ და გადავთვალდით სურათები.

მირიანი სახტად დარჩა, ასე უნებურად რომ გამყვანა თავისი ყოფილი მასპინძლები, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ უარზე დადგა არ წამოვად სურათის ამოსაცნობადო, ბოლოს მაინც დააჯერეს, რომ ეს საჭირო იყო, და მართლაც ის და ედიშერიც ერთი საათის შემდეგ მონადირეთა კავშირის გამგეობის შენობაში იყვნენ. ედიშერმა მოითხოვა ეჩვენებინათ მისთვის მონადირეთა კავშირში აღრიცხვაზე აყვანილ ძველ და ახალ მონადირეთა ანკეტები, რაზედაც უარი არ უთქვამთ და, მართლაც, მცირეოდენი ძებნის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ფოტოსურათში წვერგაპარსული იყო და თბილისში ნაცხოვრები ადამიანის იერით სულ არა ჰგავდა მისიანს და მწვარ და წვერმომავებულ კარვის ბინადარს, მირიანმა ადვილად იცნო ვანტანგის მამა, რომელიც მონადირეთა წრეებში კარგად ცნობილი—მიხეილ ალექსის-ძე ფეიქრიშვილი აღმოჩნდა.

ედიშერმა მისამართი ამოწერა, მონკავშირის მუშაებს მალე ლობა გადაუხადა დახმარებისათვის და მირიანთან ერთად გახარებული დაბრუნდა სახლში.

— აბა, ჩემო გიორგი! შენი გამამწარებლის ვინაობა უკვე გამოვარკვეეთ და ახლა შენ იცი. ვინდა საკუთარ საქმეზე მოსთხოვე პასუხი და ვინდა, როგორც სახელმწიფო ინტერესების დამცველმა, გამოიკვლიე: რატომ დამფრთხალა ის „იშვითი ფრინველი“ თავისი საკუთარი ბუდიდან, რატომ იმალება ასე საიდუმლოდ. ეტყობა, კარგად იცის თავის დანაშაული, იცის, რომ თავზე ხელს არ მოუსვამენ და ამიტომ ბარტყსაც თან დაატარებს. რას იტყვი? თუ კიდევ რამეში გჭირდება, მითხარი და მზალა ვარ.

— დიდად გამდლობ, ჩემო ედიშერი! საკმაო სამსახური გამოიწვიე. ახლა, მე გგონი, ამ საქმეს როგორმე თკითოფე გავართმევ თავს და ჯერჯერობით აღარაფრით შეგაწუხებ, — უთხრა ამხანაგს კმაყოფილმა გიორგიმ.

*

მეორე დღეს ედიშერის მოტანილი მისამართით გიორგი მიხეილ ფეიქრიშვილის ბინაზე მივიდა. ბინა დალუქული აღმოჩნდა.

მეზობლებისაგან გაიგო, რომ ხუთი წლის წინათ ცოლი გარდაცვლიდა მიხეილს და ერთადერთი ვაჟით ცხოვრობდა თურმე. იმ წამთარს კი, სამსახურში, სადაც იგი სამეურნეო სამუშაოდან სავაჭრო ბაზის დირექტორად დაწინაურებიათ, მოულოდნელი რევიზიის შედეგად დიდი დანაკლისი აღმოჩნდა. ამის გამო, ერთ მშვენიერ დღეს მიხეილ ფეიქრიშვილი სადღაც გამქარალიყო. მისი წახვლიდან სამი დღის შემდეგ მართლაც მოსულიყვნენ დასაბატირებლად, მაგრამ, სახლში რომ არავინ დახვედროდათ ბინა დაე-ლუქათა.

ეს გაიგო მეზობლებისაგან გიორგიმ. გარდა ამისა, ზოგი რამ სხვადასხვაც გამოჰკითხა იმავე მეზობლებს: როგორი ადამიანი იყო მიხეილი, როგორ ცხოვრებას ეწეოდა. მაგრამ გაკვირებული დარჩა, როცა არც ერთ მეზობელს არ უძაგებია და, პირიქით, აქვს კიდევ—ძალიან კეთილი, გულისხმიერი და თავდაბალი ადამიანი იყოო. ხოლო, როცა სათანადო სასამართლო ორგანოებში მიხეილის საბრალდებო საქმეები მოაგითხა და გაეცნო მათ, უფრო გაკვირვებული დარჩა: თურმე იმ დაწესებულებაში გაიძვერებს ესარგებლათ მიხეილის გამოუცდელობითა და მიმდობი ნახიათით, მისი იქ არყოფნის დროს დიდძალი ძვირფასი საქონელი გაეტანათ ბაზიდან, საბუთები კი ისე შეეთითხნათ, ვითამ მიხეილს გაეცეს ის საქონელი თავის ძმაკაცებზე. მის გაქცევის შემდეგ გამოძიებას ნამდვილი დამნაშავენი აღმოეჩინა და მართლმსაჯულებას ისინი სათანადოდაც დაესჯა. სრულიად უდანაშაულო ფეიქრიშვილმა, როგორც ეტყობოდა, ჯერ ამის შესახებ არაფერი იცოდა და ისევე განაგრძობდა თავის არიდებას,—არ უნდოდა სხვისი დანაშაულისათვის თვითონ ეგო პასუხი.

ეს რომ გაიგო გიორგიმ, შურისგების გრძნობა დაუცხრა და მზად იყო ებატებია იმ დამფრთხალი ადამიანისათვის. მსგავსი შემთხვევები ბევრი იცოდა საკუთარი მუშაობის პრაქტიკიდანაც და სასამართლო ისტორიიდანაც ახსოვდა. სრულიად აღდგმარათილი ადამიანი შეშინებულა, უფიქრია, მაინც თავს ვერ გავიმართლებო, და მართლმსაჯულებისათვის თავი აურიდებია,—გაქცეულა. ახლა საჭირო იყო ფეიქრიშვილის მოძებნა. მაგრამ სად შეეძლო მისი პოვნა? ხმას ვინ მიაწვდენდა „გარეულ კაცს“, რომ მას აღარავინ სდევნიდა და ნამდვილი დამნაშავენი უკვე ციხეში ისხდნენ?

გიორგი მირიანის ნაამბობით თანდათან რწმუნდებოდა, რომ მიხეილი მართლა კეთილი ადამიანი იყო, თორემ ისე მშობლიურად არც მოექცეოდა უცხო ბავშვს. ბოროტი ადამიანი ბავშვს უბრალოდ მოსპობდა, რომ საიმედოდ დაეფარა თავისი კვალი. ის კი, როგორც მირიანმა უამბო, ძალიან კარგადაც მოექცა, მატარებლითაც გამოისტუმრა ბავშვი თბილისში თავისებური ძღვენით. რა თქმა უნდა,



იმეფე საღამოს ჯგერითიანთ ოჯახში ხალხი ახლა სინარულს გასახიარებლად შეიკრიბა.

ავაჯაკი არც ამისათვის გაიცხლებდა თავს და არც ბოდიშებს მოინდოდა. თავისი ბავშვი რომ კარგად გაუხდებოდა, დაშლიდა კარავს, გადაბარდებოდა ნავზე და სხვის ბავშვს უბატრონოდ გაუშვებდა, სადაც გინდა წადიო.

ერთი სიტყვით გიორგი ძალიან დაინტერესდა და ძებნაც აღძრა. საქმე თითქოს მარტივი იყო: უნდა მოენახათ ეს მართალი ადამიანი და ეთქვათ: შენ არაფერ შუაში ხარ, დამნაშავენი სხვები არიანო.

მაგრამ „გარეული კაცი“ ისე გულდასპით იმალებოდა, რომ მისი პოვნა არც ისე ადვილი შეიქნა. ამის შესახებ სამსახურშიც ჰქონდა გიორგის მსჯელობა, რესპუბლიკის პროკურორსაც მოახსენა, იუსტიციის მინისტრსაც. მაგრამ გადიოდა თვეები, ბოლოს მასაც მოსწყინდა და თავი მიანება, მით უმეტეს—შვილი უკვე სახლში ჰყავდა, ხოლო გამოსაძიებელი და განსახილველი საქმეები თავსაყრელი მოხდიოდა.

თავი მესამე

ასე მიეცა დავიწყებას მიხეილ ფეიქრიშვილის ამბავი. მაგრამ ის, რაც დიდებისათვის გაძნელდა, ახალგაზრდებისათვის მეტად მიმზიდველი და საინტერესო გამოდგა. მირიანმა თავის სკოლის მეგობრებს უამბო რაც გადანდა ტყვეობაში, აუწერა იმ მამა-შვილის ამბავი, უამბო მათ როგორ ტყუილად იმალებოდნენ ისინი სხვისი დანაშაულის გამო.

მირიანს ჯერ პირველად ეგონა, როგორც მამამისი ეუბნებოდა, არავინ თავს არ გამოიდებდა ახალგაზრდებიდან და ზაფხულის არდადეგებს ვიღაც უცნობის ძებნაში არავინ გაატარებდა. მაგრამ პირიქით მოხდა. ვინც კი ყური მოჰკრა მირიანის ნაამბობს—ზოგმა აგარაკზე წასვლაც კი მიატოვა—ყველამ სურვილი გამოთქვა წასულიყო საქმენელად. მაგრამ ყველას წასვლა არც საჭირო იყო და არც მოსახერხებელი. ამისათვის ათასი დაბრკოლება არსებობდა. ერთი ის, რომ წყლით უნდა ემოგზაურნათ, და იმდენი ნავეები სად შეეძლო ემოვნა მოსწავლე-ახალგაზრდობას. გარდა ამისა, მოგზაურობის დროს დიდი ჯგუფი დიდ ხარჯებსაც მოითხოვდა, ამიტომ ისევ პატარა ჯგუფი შეეძა, რომელშიაც ხუთი კაცი შედიოდა. ხელმძღვანელად მეთერთმეტეკლასელი შავტუხა ბიჭი, შურა ჯაბაური გამოჰყვეს, რომელიც მირიანის სკოლაში მოხერხებულობითაც და გამძლეობითაც ყველასაგან გამოირჩეოდა.

შურას გარდა ჯგუფში შედიოდნენ: სანდრო ხორბალაძე, ვანო კლიმიაშვილი, თვითონ მირიან ჯგერითი და ჰასან მუსა ოღლი. ეს უკანასკნელი მათ სკოლაში არ სწავლობდა, მაგრამ ჯგუფში იმიტომ შეიყვანეს, რომ აზერბაიჯანული ენის მცოდნედ გამოადგებოდათ,—რადგან სამი მეოთხედი იმ გზებისა, სადაც დამფრთხალი მამა-შვილი უნდა ეძებნათ, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადიოდა.

მირიანის დედამ რომ გაიგო, რომ ჩემი შვილი იმ ადამიანის საქმენელად მიჰყავთ, ვინც ამდენი მწუხარება გადამატანინაო, ხელეები გასასხავა: არამც და არამც არ გავუშვებ, ვინ იცის კიდეც რა შეემთხვესო. მაგრამ ამხანაგებმა, რაკი უმირიანოდ ვერ წავი-



დოდნენ, დიდის ხვეწნითა და მუდარით მიმართეს ეთერს: ცივ ნიავს არ მივაკარებთ, მხოლოდ ისე წამოგვეყვებს, გზები გვაჩვენოსო, — და როგორც იყო დაითანხმეს.

ჯგუფი რომ წასვლის თადარიგს შეუდგა, მეთექვსმეტე სანდრო ხორბალაძემ ერთი ჭკვიანური წინადადება წამოაყენა:

— ბიჭებო, ჩვენ რომ მივდივართ, ეგ ძალიან კარგი, მაგრამ უკეთესი არ იქნებოდა, იმ ბიჭის სკოლის ამხანაგებიც გვენახა, ვახტანგი ჭყვია თუ რაღაც? რას იტყვი, იქნებ იმათაც უნდათ წამოსვლა?

— მერე სად ვნახათ ისინი, ვინ იცნობს? — გულუბრყვილოდ იკითხა კლიმაშვილმა.

— მაგაზე ადვილი რა არის, ეზოში არ ეცოდინებათ, ბიჭი რომელ სკოლაში სწავლობდა? — უთხრა თვითონ მირიანმა, და ისა და ჯაბაური მაშინვე წავიდნენ ფეიქრიშვილების ბინაზე, სადაც იმავე წუთში გაიგეს რომელ სკოლაშიც სწავლობდა ვახტანგი.

სკოლის დირექტორმა რომ გაიგო მირიანის თავგადასავალი და ყმაწვილების მისვლის მიზეზი, ძალიან გაეხარა. ერთი იმიჯი, რომ თავისი სკოლიდან უცნაურად დაკარგული მოსწავლე აღმოჩნდა, და მეორეც იმიჯი, რომ ეს ახალგაზრდები ასეთი კეთილი საქმისთვის მივიდნენ. ოღონდ უსაყვედურა ბავშვებს, რომელი იტივო, რომ ისინი თავიანთი სახსრებით მიდიოდნენ დაკარგულთა საქმეებზე და ამ კეთილ საქმეში არავინ მატერიალურ დახმარებას არ უწევდა.

— როგორ, მიმართეთ ვინმეს და არავინ დახმარება არ გაგიწევს?

— არა, პატივცემულო მსწავლეებო, არავისთვის არ მიგვიმართავს, ისე, ჩვენ გადავწყვიტეთ...

— ზოო, ეგ სხვა საქმეა. მაგრამ მე ვთვლი, რომ აქ ორი საქმე კეთდება: ერთი — იმ ხალხის ძებნა, მეორეც — მშობლიური მხარის შესწავლა და მოგზაურობა. განა მაგისი ხარჯები არა გვაქვს? ეგეც არ იყო, თუ ძებნაა, მოწაფე ჩვენ დავკარგეთ და ჩვენ უნდა ვეძებდეთ ბირველ რიგში. ნუ აჩქარდებით, ხვალისათვის შემოიარეთ, მანამდე მე მოველაპარაკები თქვენ სკოლის დირექტორს.

მართლაც, მეორე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ათასგვარ თათბირებზე თითქმის დამეგობრებული სკოლის დირექტორები. კმაყოფილები თავიანთი აღზრდილების კარგი წამოწყებით, ძალიან შინაურულად შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინვე საქმეზე გადავიდნენ. უკვირდათ, რომ ჩვენს დროში ასეთი უცნაური ადამიანი გამოვიდა, რომელსაც თავისი სიმართლის დაცვაც კი შეურაცხყოფად მიუჩნევია და, რაკი ეჭვი მიუტანიათ მასზე, სამართალს გაჰქცევია.

— რა ექნა? ალბათ იმ კურდღელივით მოუვიდა, რომელმაც გაიგონა, აქლემები უნდა დასქედონო, და მოჰკურცხლა თურმე. ხოლო როდესაც შენიშნეს, რატომ გარბიხარ, შენ ხომ აქლემი არა ხარო, მოსწრებულად უპასუხა: სანამ დავუმტკიცებდე, რომ კურდღელი ვარ და არა აქლემი, დამჭედვენ, ბატონო, და მერე რაღას მიშველის დამტკიცებაო...

ასეთი მსჯელობა ჰქონდათ დირექტორებს, ხოლო შემდეგ იმაზე შეექნათ დავა: ზურაბის ჯგუფისათვის დაემატებოთ რამდენიმე მოწაფე ვახტანგის სკოლიდან, თუ ცალკე ჯგუფი ჩამოეყალიბებინათ მათაც და დამოუკიდებლად, ან ზურაბის ჯგუფთან შეთანხმებით ეწარმოებინათ ფეიქრიშვილის ძებნა.

ვახტანგის სკოლელები, ვისაც კი გაეგო, რომ თავიანთი მეგობრის მამა ალალმართალი იყო, ყველა სურვალს გამოთქვამდა, წასულიყო საქმეებზე. ოღონდ ის ინიციატივა არ მოსწონდათ, რომელიც ზურაბის ჯგუფს ხელთ ეპყრა.

— დაწყნარდით! — მიმართა მათ სკოლის დირექტორმა. — გასაკვირი არაფერია. ჩვენი დაკარგული მოწაფისათვის შემთხვევით მიუღწიათ. ყოველი წესიერი ადამიანი თავის მოვალეობად უნდა თვლიდეს გზაზე დააყენოს გზასაცდენილი. ჩვენზე ადრე მოიფიქრეს კეთილი საქმე და ქება მათ! თუ გული გერჩით და გინდათ წვლილი შეიტანოთ ამ საქმეში, ვინ გიშლით? წადით და თქვენც ეძებეთ. ისე კი გაფრთხილებთ, ბევრი სიძნელე შეგხვდებათ გზაზე

— დაწყნარდით! — მიმართა მათ სკოლის დირექტორმა. — თუ გული გერჩით და გინდათ წვლილი შეიტანოთ ამ საქმეში, ვინ გიშლით?



და ბევრს დაეკარგება ძებნის საღისი. საქები კი მხოლოდ ის იქნება, ვინც საქმეს ბოლომდე მიიყვანს. არ იფიქროთ, ყმაწვილებო, რომ მართო თქვენ გაქვებდეთ. მომავალი სასწავლო წლისათვის აუარებელი საზრუნავი რომ არა მქონდეს, პირადად წამოვიდოდი.

სკოლის დირექტორმა ისედაც დალესილ ბიჭებს ამ სიტყვებით ცეცხლს წაუკიდა და თბილი ში დარჩინა აღარავის უნდოდა. მაგრამ ვახტანგის სკოლებზემაც მხოლოდ ხუთკაციანი ჯგუფი შეადგინეს. გარდა ამისა, ორივე სკოლის ჯგუფებისათვის—თავიდანვე აშკარა იყო,—ერთი მეორეს არ დაემორჩილებოდა,—დირექტორებმა გადაწყვიტეს ერთი საერთო ხელმძღვანელი გამოეყოს მასწავლებელთა წრიდან. არჩევანი ფიზკულტურის მასწავლებელ გიგი გურჯიძეზე შეაჩერეს და ორივე ჯგუფი მას დაუქვემდებარეს.

საერთო ხელმძღვანელად გამოეყოფილა გიგი გურჯიძემ მოტორიანი ორი ნავი იშვიათი ექსპედიციისათვის, ყველა წვრილმანი გაითვალისწინა, რაც ექსპედიციას დასჭირდებოდა და უკლებლად მოიმარაგა ისინი. გარდა ამისა, რაკი მდინარეებით მოუხდებოდათ მოგზაურობა, საჭიროდ ჩათვალა „საქთვეზის“ სამმართველოში შეეველო და იქიდან მიწერილობები გამოერთმია მათი აგენტებისადმი, რათა ისინი დახმარებოდნენ ექსპედიციას სასურველი პიროვნების მოძებნაში. ასეთივე შინაარსის დეკრეტი აფრინა ბაქოშიც „სთევეზის“ მმართველის სახელზე, რომ მასაც თავისი აგენტებისათვის ეცნობებია ექსპედიციის მიზანი და საჭირო შემთხვევაში დახმარებაც დაევალებინა.

მოტორის მართვის მცირეოდენი ინსტრუქტაჟის შემდეგ, რამაც სამ დღეს გასტანა, 26 ივლისს ქალაქ რუსთავის ბოლოს, მთავარი არხიდან დაიძრნენ მოტორიანი ნავები.

*

— აბა, ჩვენო მეგზურო, — მხარზე ხელი გადახვია გიგამ მირიანს, — შენი ცოდნა უნდა მოგვაშველო. ჯერ ყველაზე პირველად ის იქნება საჭირო, იმ ადგილზე მიგვიყვანო, სადაც ფეიქრიშვილებმა დაგაკავეს. იქ ადგილობრივ უკეთესად მოგვიჩვენებთ საით წავიდოდნენ. ადგილს ხომ იცნობ, მირიან?

— როგორ არ ვიცნობ, ამხანაგო ხელმძღვანელო! რა დამავიწყებს იმ ადგილებს! — უპასუხა მირიანმა კმაყოფილებით.

— აბა, მამ ჩქარი სვლა!

ორივე ნავის მოტორი რიტმულად აფუფუნდა. ნავები სოფელ ქვემო ქობალლოს მიდამოებს გასცდნენ და „მაგარ კუთხეს“ ჩაუარეს, სადაც მტკვარს ორივე მხარეზე უშველებელი ვერხვებისა და ტირიფების დაბურული ჭალები ჩასდევნენ. ხორბალაძე გულდახმით ათვალთვლებდა იმ ჭალებს და მერე წამოიძახა:

— ამნარი ჭალებში რომ კაცი დაიმალოს, რას ვიპოვებთ!

— აი, მივიდეთ იმ ადგილზე, სადაც კარავი ჭიონიათ ფეიქრიშვილებს, იქიდან ცოტა სხვანაირად უნდა გავცხრილოთ მიდამოები. — უპასუხა ხელმძღვანელმა. — მე გონი აქეთ არ დაბრუნდებოდნენ და იმითმ მივქრევართ ასე გაჩქარებული.

ამ დროს ნავებმა იმ ადგილს ჩაუარეს, სადაც მდინარე ხრამი მტკვარს უერთდება მარჯვნიდან, რის გამოც ხელმძღვანელმა ნავები შეაჩერებინა და რუკას დახედა:

— ეს მდინარე ხრამია. ვინ იცის აქეთაც გამოჰყავა წყალს, იმასაც ხომ მოტორიანი ნავი ჭიონია, რას იტყვით, ყმაწვილებო, ხომ არა სჯობია ვიკითხოთ?!

— ვის უნდა ვკითხოთ აქ? ვის ეცოდინება! — შესძახეს ერთმანდად ბიჭებმა.

— მაგას მოვახერხებთ. ოღონდ ორივე ნავის წაყვანა საჭირო არ არის. ავთანდილის ნავი აქ დარჩება, ჩვენ კი ზევით ავყვებით. აქვე ახლოს ცნობილი „წითელი ხიდა“, თუ გაგიგონიათ. იქ მეთევზეები ცხოვრობენ, რომლებსაც მოტორიანი ნავის ავთა არავითარ შემთხვევაში არ გამოუპარებოდათ. ვნახოთ, შევეკითხოთ, და თუ აუვლია, მაშინ აქ ვერსად დაგვემალება, იმის პოვნა დღესვე შეიძლება. მე ვიცნობ ამ ადგილებს. არახლოს ხიდის ზემოთ ისეთი

ქარი დინება აქვს ხრამს, რომ ვერავითარი ნავით იმ ჩანჩქერებში კაცი ვერ აივლის. იმის იქით ისინი ვერ წავიდოდნენ.

ეს მოსაზრება რომ მოისმინეს ხელმძღვანელისაგან, ბიჭებს შეეშინდათ, იფიქრეს, თუ მართლა დღესვე ვიპოვებთ ფეიქრიშვილი, ეს რაღა მოგზაურობა იქნება, ასე ხომ სადამოს ისევ სახლში უნდა დადებოდნენ და ერთ ღამესაც ვერ გავათევთ კარავში, რაზედაც ამდენს ვოცნებობდითო. მაგრამ შემოაბრუნეს თუ არა ნავი მარჯვნივ და ხრამის კალაპოტს აშყვენენ, მაშინვე გვივ გამოთქვა გიგი ხელმძღვანელმა: აჰ, აქეთ რა წამოიყვანდა ამ ჩანჩქერებშიო. ბიჭებს სახეები გაუხათდათ. ხოლო, როდესაც ხიდის დარაჯმაც დაუდასტურა ეს მოსაზრება—არავითარ მოტორიან ნავს აქეთ არ ამოუვლიაო, და ისევ მტკვრისაკენ იბრუნეს პირი, ეკიპაჟმა აშკარად გამოსატა თავისი სიხარული და შიშის მიზეზი, რაზედაც გულიანად გაეცინა გიგის.

ნავი რომ მტკვრის განიერ და ღრმა კალაპოტში ჩაღდა, მესაქესაც გაუადვილდა მისი მართვა და უფრო გაბედულად ააჩქარა იგი. ბიჭები ხარბად გაჰყურებდნენ უცნობ ადგილებს. ყველაფრის დანახვა უნდოდათ და, რასაც კი თვალს მოჰკრავდნენ, პირველ ხანებში, აუცილებლად უნდა გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის თავიანთი შთაბეჭდილებანი. გზადაგზა ვისაც ხვდებოდნენ მტკვრის ნაპირებზე, ეკითხებოდნენ მოტორიანი ნავის პატრონზე, რომელსაც თხოუმეტოლად წლის ბიჭი უნდა ხლებოდა. მაგრამ ასეთი ადამიანის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

სალამოვდებოდა, როდესაც მირიანმა შორიდანვე იცნო ის ადგილები, სადაც მისმა პაპამ და მიტკა-რუსმა სათევზაოდ ჩამოიყვანეს ამ რამდენიმე ხნის წინათ.

— აი, იქ იდგა კარავი, — წამოიძახა მირიანმა და ხელი მდინარის მარცხნივ დაბურული ტყისაკენ გაიშვირა, — ნავიც აგერ, იმ ყურეში ება...

— აჰა, ყურე მართლაც მონერხებულია; ასე რომ, მანდ ჩვენი ნავებიც შეიძლება დავაყენოთ ამაღამ და კარვებზე წყლის ნაპირას აქვე გავმართოთ. ის ადგილი კი, თუ ძალიან შორს არ არის, ახლავე დავათვალიეროთ, რომ დღით აღარ დავბანდეთ, რადგან ადრევე უნდა გავემართოთ საქმენელად.

გიგის ბრძანება ნახევარ საათში შესრულებული იყო. ეკიპაჟებმა სალამო მალე ორი კარავი აღმართეს წყლის პირას, რის შემდეგაც ერთი ამხანაგი კარავების საყარაულოდ დატოვეს და ფეიქრიშვილების ნაბანაკარის დასათვალიერებლად წავიდნენ.


მირიანმა აჩვენა მათ ის ადგილები, სადაც კარავი იდგა და, რაც ყველაზე უფრო მოეწონათ ბიჭებს, ცივი, ანკარა წყარო, რომელიც ბებერი ვერხვის ძირში გამოიხსუნებდა და ბუერებსა და ფორხვენებში ძლივს მიიკვლევდა გზას მტკვრისაკენ.

— კარგი ადგილი კი ამოურჩევიათ, აქ მართლაც შეიძლება დალილოთ ადამიანმა დაისვენოს, მაგრამ სადა გვცალია! — შენიშნა ხელმძღვანელმა.

ის ხელი შეუშინა მარაგი, რომელიც კარვის დაშლის შემდეგ დატოვეს ფეიქრიშვილებმა, ისევ ხელუხლებელი დახვდათ. ბიჭებმა შეშა ნაბანაკარის დათვალიერების შემდეგ თავიანთ კარვებთან გადაიტანეს, კარგი კოცონი გააჩაღეს და ვახშმის სამზადისს შეუდგნენ.

გამოცდილი ხალხის დარიგების თანახმად, — კონსერვებს მოუფრთხილდით და პირველ რიგში ისეთი პროდუქტები დახარჯეთ, რომლებიც დიდხანს არ შეინახებაო, — ბიჭებმა რუსთავიდან წამოღებული ცხვრის ხორცი და პამიდორი ჩათუთქეს ალიუმინის ქვებში. მალე მადის აღმძვრელი სურნელება დატრიალდა წყლის პირას.

ივანშუმის გემრიელად, საქმის დასაწყისი რუსთავიდან წამოღებული ლიმონათში შეზავებული თითო ჭიკა ღვინით აღნიშნეს. შემდეგ დასაკეცი საწოლები გაასწორეს და ისე გაუხდელად აპირებდნენ მიწოლას ზედ, მაგრამ ხელმძღვანელმა სასტიკად აუკრძალა. ყველას გაახდევინა ტანისამოსი, მხოლოდ ერთერთი ამხანაგი გუშაგად გამოჰყო, რომელიც სანადირო თოფით შეაიარაღა და თვითონაც დაწვა.



26 ივლისს, რუსთავის ბოლოს, მთავარი არხიდან დაიძრნენ მოტორიანი ნაგები.

მალე კარავში ჯანსაღი, რიტმული ხვრინვა გაისმა. ჭალაში, იქვე ახლოს, ჭოტმა დაიძახა. შორს, სადღაც ჯეირან თევზის მხრიდან, გულისწამდებად აკივლდნენ ტურები. მხოლოდ მტკვარი ისევ ლოკავდა თავის ბებერ კალაპოტს, ჩურჩულებდა მონოტონურად და ეს ჩურჩული ნანინასავით ჩაესმოდა მძინარეებს.

*

დილის ექვს საათზე აშალა ბანაკი ხელმძღვანელმა. როგორც წესი, ხუთი წუთი დილის გამამხნეველ ვარჯიშს მოაწოდებდა, შემდეგ პირი დაიბანეს მტკვარზე და, როცა ისაუზმეს, მამინ მისვდა ხელმძღვანელი, რომ ძალზე ხშირხშირად დასჭირდებოდა სურსათის მარაგის შევსება. აშკარა იყო თერთმეტი ჯანსაღი ახალგაზრდის მადა იმ სუფთა ჭაერზე, იმაზე უფრო გაცილებით მეტ ხორაგს შთანთქავდა, ვიდრე ადრე ფიქრობდა.

მაგრამ ამის გამო არ დაღონებულა, არც გაუშხელია ბიჭებისათვის. პირიქით, თავისთვის ისიც კი თქვა ხელმძღვანელმა: ოღონდ ყველანი ჯანსაღად მყავდნენ, ავად ნურავინ გამოიხდებდა და სჭამონ რამდენიც უნდათ, ვუშოვნი, უფრო სწორად—ვაშოვნინებო, და იმედინად გადახედა მდინარე მტკვარს, რომელიც თითქოს ჩურჩულებდა: აქა ვარ, ნუ გეშინია! ჩემი თევზი მთელ ქვეყანაზე განთქმული და თქვენ ვეღარ შეგინახავთო?!

სწორედ ამისათვის ჰქონდა ორი სასროლი და ერთიც გასაშლელი ზადე წამოდებული. ამასთან ერთად დიდ ჩანგლებსა და ყოველგვარი ზომის ანკებს ხომ თვლა არ ჰქონდა. გიგამ იმ წუთში მოიფიქრა: გარდა იმისა, რომ ბადეებით დაიჭერდა თევზს, გადაწყვიტა, როგორც წესი, შემოეღო ასეთი რამ: ღამით სადაც დაბანაკდებოდნენ, სულ ცოტა ათი თოკი მაინც გადაეგდათ მტკვარში ჩანგლებით, რომ მეორე დღის სამყოფი თუ არა, დილის საუზმისათვის მაინც ჰყოფნოდათ ღამით დაჭერილი თევზი. ეს მოვალეობა ღამის გუშაგებს დააკისრა, მათ უნდა ეზრუნათ ჭიაყედების შოვნაზე. მით უმეტეს, ამას დიდი არაფერი არა უნდოდა რა—ჭიაყედებს წამოაგებდნენ ჩანგლებზე და გადაჭყრიდნენ წყალში.

კარგები რომ აწყარეს და ისევ ნაგებზე დატვირთეს ყველაფერი, ხელმძღვანელი მირიანს მიუბრუნდა:

— აბა, ახლა ის ადგილი გვაჩვენე მირიან, საიდანაც რკინიგზის სადგურზე წაგეყვანა იმ კაცმა.

— აქედან ის ადგილი შორს არ არის, ხელმძღვანელო!


ორივე ნავი დაიძრა მტკვრის დინების მიმართულებით და ბიჭებმა მხიარული სიმღერა შემოსძახეს. სიმღერა მალე ერთობლივმა სიცილ-სარხარმა შესცვალა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ პატარა ჰასანმა, რომელსაც ზარივით წვრილა ტენორი ჰქონდა, ქართულ რაშაორერას აწერდა იჯანუღი ბაიათის კილოზე აგრძელებდა და მართლაც სასაცილო დისონანსი შეჰქონდა სიმღერაში.

— ეს კი მართლაც ფირზე გადასაღები რამ არის, ხმის ჩამწერი აპარატი რომ გვქონდეს, კარგი იქნებოდა, ჩვენი მოგზაურობის მოსაგონებლად დაგვრჩებოდა.—თქვა ავთანდილმა და ისე მოეწონა პატარა ჰასანს, რომ შეეხვეწა ჩვენს ნავში გადმოგვექიო. ჰასანს კი იმით კმაყოფილი, რომ ყველას ყურადღება მიიქცია და მეორე ნავიდანაც ეხვეწებოდნენ მათთან გადასულიყო, გახარებული კრეჭდა თეთრ ფაჩხატ კბილებს, გულზე ხელის დადებით მადლობას უხდოდა ავთანდილს მიპატოებისათვის და, თუმცა არც ისე ცუდი ქართულით, მაგრამ მაინც აწერდა იჯანუღი აქცენტით ეუბნებოდა:

— ზალიან დიდი მადლობელი, ავთანდილი! ამხანაგებს რო თავი დავანებო, რალა კასი ვიქნები?!

დიდხანს არ დასჭირვებიათ ნაგებს იმ ადგილამდე სიარული სადაც მირიანს ნაპირზე გადაიყვანა ფეიქრიშვილმა და რკინიგზის სადგურზე გააცილა თბილისში გასაგზავნად.

იმ ტირიფთან, სადაც ფეიქრიშვილს ნავი ება მირიანის გასტუმრების დროს, პატარა თათბირი ჩაატარა ხელმძღვანელმა და იქიდან მათი მოგზაურობის წესიც შეიცვალა. თუ აქამდე ყველანი ნაგებში ისხდნენ და მტკვრის დინებას მიჰყვებოდნენ, ახლა ნაგები ორ კაცს უნდა წაეყვანა იმავე მტკვრის დინების მიმართულებით, ხოლო დანარჩენი მტკვრის ორივე ნაპირი ისე უნდა გაეცხრილათ, რომ ვინც კი ჭალაში იქნებოდა, ყველა ენახათ, გამოეკითხათ ფეიქრიშვილის ამბავი და მისი კვალისათვის მიეგნოთ. რა თქმა უნდა,



ძებნის დროს გამორიცხული არც ის იყო, რომ თვით ფეიქრიშვილის მწვანე კარავსაც წაწყდომოდნენ. ასეთი შემთხვევისათვის კი ხელმძღვანელმა ასე გააფრთხილა ყველა:

— ყმაწვილებო! თუ შეგხვდეთ, არავითარ შემთხვევაში უტბადად არ აგრძობინოთ იმ კაცს თქვენი მიზანი, არ მიგიხვდეთ, რომ მის საქმეზე ხართ წამოსული. ვითომც შემთხვევით შეხვდით. თორემ გაუფრთხილებლობას შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყვეს. მაშ ასე!—დაასრულა ხელმძღვანელმა და წამოიდა.—მე მარცხნივ მიმავალ ჯგუფს გავყვები. მარჯვნივ მიმავალნი თუ შეხვდებიან ფეიქრიშვილს ყველანი ცნობენ თავიანთ სკოლებს, მარცხნივ კი მხოლოდ ერთი მირიანია მათი მცნობი და ამიტომ მეც ამ ჯგუფს მივყვები.

ექსპედიციის მთელ შეიარაღებას შეადგენდა სამი სანადირო თოფი, ას-ასი ვაზნით, და ორი ნაჯახი. ერთი თოფი ნავეებზე დატოვეს, თითო თოფი და თითო ნაჯახი თითო ჯგუფზე წაიღო, და გზას გაუდგინენ. მენავეებს კი დაანახეს მდინარის მარცხენა ნაპირზე ერთი კალთებჩამოფრეწილი, ტიტველა კლდე, რომელიც შორს მოჩანდა. მეორე დღეს იმ კლდის გადმოსწვრივ უნდა დაეყენებიათ ნავეები თვალსაჩინო ადგილზე და იქ ცეცხლი დაენთათ.

ამით გათავდა ნავეებით სერიზობა და დაიწყო ეკალ-ბარდებში ძვრობა, ჭალაში მიმავალ პატარა ბილიკებზე სიარული, რათა არაფერი გამორჩენილიყო. პირველ დღეს კარგად ვერ განსაზღვრეს ორიენტირი, სადაც ნავეები უნდა გაჩერებულიყო. იგი ისე შორს აღმოჩნდა, რომ ნავეებმა კი უწიეს იქ მეორე სადამოს, მაგრამ ორივე ჯგუფს ძალა გამოეღოათ სანამ იქ მიაღწევდნენ. მიდიოდნენ და თითქოს ის კლდე შორს იწევდა. ეგონათ, აი, გავცდებით ამ ჭალას და მივალთ იმ კლდის ძირში, მაგრამ ვაცდებოდნენ დათქმულ ჭალას და წინ ახლა სხვა ჭალა გადაედგობოდათ.

მესამე სადამოს, ბნელდებოდა, როცა კოცონთან მიაღწიეს ბიჭებმა. მოსივებულები და დაღლილები ძლივს ადგამდნენ ფეხს, ისე დაქანცულიყვნენ მგზავრობით. მგლებივით ეცნენ საჭმელს. მენავეებს ჭკუა ეხმარათ და ჩანგლები ჩაეყარათ წყალში. წინა დღითაც გაესინჯათ და ისეთი ადგილი შეხვედროდათ თურმე, რომ თევზით შენორხილები ამოედოთ თოკება. ახლა ბიჭების მოსვლამდე ბლომათ თევზი მოეხარშათ, ფოთლებზე გაეცივებიათ და ელოდნენ. ხელმძღვანელმაც და ორივე ჯგუფმაც მენავეებს მოუწონეს თაოსნობა და ისე გემრიელად შეექცეოდნენ მარილ-წყალში და შაბში მოხარულ თევზს, რომ ნამდვილად ეგონათ იმაზე გემრიელი საჭმელი ქვეყანაზე არ არსებობდა.

შიმშილი რომ მოიკლეს ბიჭებმა, ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები. გამოირკვა, რომ პირველ დღეებში ძებნამ არაფერი შედეგი არ მისცათ. არც შემდეგ დღეებს მოჰყოლია რაიმე შედეგი.

ასე ჩაიარა კიდევ ერთმა კვირამ და შამხორის მისადგომებსაც მიაღწიეს ნავეებმა.

ღესინგის იბავეები

მ ი რ ი ლ ო მ თ ა ნ

ვირი, ესოპეს* ლომს სანადირო ბუკის მაგიერობას რომ უწევდა, ლომთან ერთად ტყეში მიდიოდა.

- მას ნაცნობი ვირი შემოხვდა და დაუძახა:
 - დილამშვიდობისა, ჩემო ძმაო!
 - თავხედო!—იყო პასუხი.
 - ვითომდა რატომ?—გაოცდა პირველი ვირი,—განა ლომის გვერდით რომ მობრძანდები,—ვირზე მეტი ხარ?



მ ა ი მ უ ნ ი და მ ე ლ ა


დამისახელე ისეთი უნარიანი მხეცი, რომლის მიბაძვაც მე არ შემეძლოს!—დაიტრაბახა მაიმუნმა მელიას წინაშე.

მელიამ უპასუხა:

— შენ კი დამისახელე ისეთი უმსგავსი მხეცი, რომელსაც აზრად მოუვა შენ მოგბაძოს.

მწვრლებო ჩემი ერისა! საჭიროა ვილაპარაკო უფრო გასაგებად?

* ესოპე—დიდი ბერძენი იგავთმწერალი.



თარგმნა ა. კარანაძემ

მაც დააზარალა ბელგია და სამხრეთ ინგლისი, ყველაზე უფრო კი ჰოლანდია. ნაპირებიდან გადავარდნილმა ზღვის წყალმა დაფარა უზარმაზარი ტერიტორია და სოფლებსა და ქალაქებს გადაუარა. მაშინ საბჭოთა კავშირმა დიდი დახმარება გაუწია ჰოლანდიას.

1940 წლის მაისში გერმანიის ფაშისტური ჯარები ჰოლანდიაში შეიჭრენ და იქ საოკუპაციო რეჟიმი დაამყარეს. ხუთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ჰოლანდია დამპყრობელთა უღელქვეშ. მაგრამ ჰოლანდიის ხალხი არ იშლიდა ბრძოლას ინტერვენტების წინააღმდეგ. თქვენ ალბათ გაგონილი გექნებათ ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე მომხდარი ამბავი. ტექსელზე ქართველმა ტყვეებმა 1945 წლის აპრილში მოაწყვეს აჯანყება, გაანადგურეს გერმანელთა ნაწილები და კუნძული ფაშისტური რეჟიმისაგან გაათავისუფლეს. ქართველების გმირობა დღემდე კარგად ახსოვთ ჰოლანდიელებს.

9 მაისს, დილით, ჩვენ გემით მივადექით ჰოლანდიის ქალაქს—როტერდამს. იგი ზღვას უზარმაზარი, თხუთმეტკილომეტრიანი არხით უერთდება. ამ არხის საშუალებით შემოდის თითქმის ქალაქის ცენტრში ყველა სახის საოკეანო გემი. ეს ნავსადგომი შემოსავლის ყველაზე დიდი წყაროა როტერდამის მოსახლეობისათვის. თავისი დოკებით, ელევატორებით და უზარმაზარი პაკვაუზებით როტერდამის ნავსადგომი ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლება მსოფლიოში.

როტერდამში, ჩვენს იღბლად, იმ დროს მოვხვდით, როდესაც ბოიმანის მუზეუმში დიდი ჰოლანდიელი მხატვრის—რემბრანდტის სურათების გამოფენა იყო, მისი დაბადების 350 წლისთავთან დაკავშირებით. ჩვენ უდიდესი სიამოვნება განვიცადეთ, რადგან მსოფლიოს მუზეუმებში გაფანტული რემბრანდტის დიდებული სურათები ამ გამოფენის გამო ერთად იყო თავმოყრილი მუზეუმში.



როტერდამის შემდეგ ჩვენ გავლით მოვხვდით ჰააგაში, შემდეგ კი ამსტერდამში, რომელსაც ჩრდილოეთ ვენეციას უწოდებენ, რადგან იგი, ისევე, როგორც ვენეცია, დაფარულია არხებით.

ჰოლანდიამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი საესეა ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლებით. ამ პატარა ქვეყნის შრომისმოყვარე ხალხს ბევრი რამ შეუქმნია მსოფლიო კულტურისათვის.

როტერდამში მანქანით დაგბრუნდით, აქედან კი ზღვით განვაგრძეთ ჩვენი მოგზაურობა.




სურათებზე: 1 და 2. ამსტერდამელი მოწაფეები; 3. ამსტერდამის ერთ-ერთი ქუჩა; 4. ეს გლისერები მოუთმენლად ელოდნენ საბჭოთა ტურისტებს ამსტერდამში; 5. ამ სურათის შუაში აღმართული სამრეკლო კოშკიდან იწყება ამსტერდამის არხების სისტემა; 6. რემბრანდტის ძეგლი ამსტერდამში.



პლ. მანანი
ფოტო
გაერთიანება

გეროობის ირგვლივ



გასული წლის ოქტომბერში თბილისელი „პოპულა“ წიგნიერეკრ გაგეგზავრა საბჭო-თა ტრებისტრით გეროობის გარეშო სასოჯაეროდ. ამ ტრისტრით შოროს ცხრაბმტრით თბილისიდან ვიკეთო.

შვეიცია, პოლანდია, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, თურქეთი, ბულგარეთი და რუმინეთი—აი, ჩვენი მარაზრტი. ეს ქვეყნები რომ მოინახულოთ, საქობია გადღაღობოთ 10.000 კილომეტრი და გადაკურთოთ რვა ზღვა და ერთი ოკეანე. ამა, გასინჯეთო რაუჯაზე რა დიდი და საინტერესო გზა არის ლენინგრადიდან ოდესამდე ზვიეთი.

მაგზობისას შეც თვედნსაეთი ბეროი მიოცნებნია სხვა ქვეყნებში მოგზაურობაზე, მინდობა ჩემი თვლით მენება ყველაფერი, რაც წიგნებში წაშეკითხია სხვადასხვა ქვეყნების შესახებ. ამიტომ განვიზრახე მოკლედ გაგიხიზაროთ თქვენ, პატარა ცქობეებულებო, მოგზაურობის შობაბეკიდლებები.

3 ოქტომბრის ღამის 12 საათზე ჩვენმა თბილისელი მოგზაურობის კურსი აიღო. ყველანი გეგზანზე ვიდეეთი. კარგად მახსოვს, ვიღაცამ კომპოზიტორ სოლოვიოვის ცნობილი სიმღერა „შვილობითი საყვარლო ქალბატო“ წამოიწყო, მას ყველა იმ მეყოფი აჰყვა და ასე სილიტრით გაიკვლიეთ ჩვენი საყვარელი ქვეყნის ნაბიჯებს და ბაღ-ტრის ზღვაში გაიკვლიეთ.

პირველი ქვეყანა, რომელიც მარშრუტით უნდა გვეხანა, შვეიცია იყო. თითქმის ორი დღის მოგზაურობის შემდეგ, 5 ოქტომბერს, დილის 8 საათსა და 30 წუთზე შვეიციის დროით, შვეიციის სატახტო ქალაქ სტოკჰოლმში შევიდით. ეს პირველი ნავსადგომი იყო, საიდანაც უკმა ქვეყნების გაყენებას ვიწყებდით. ამიტომ, ვახანგებია, თუ როგორია მოუთმენლობით მოველოდით ნაპირზე ვადესალსა.

სტოკჰოლმი, შვეიციის სამეფოეული და კულტურული ცენტრი, დიდი და მეტად ღამაზა ქალაქია. ჩრდილოეთისაგვის დამახასიათებელი ნისლით შეფხვნილი იგი ჩვენი არაჩვეულებრივად სუბო ქუჩებში დასაოკლებდნენ მანქანები, რომელთა გაღასწრებას ძლიერი ასწრებდა უმრავლესი ველოსიპედისტები. საერთოდ ველოსიპედ ძალიან ვაგრძელებულია გეროობის ბეგრ ქვეყანაში. ვის არ შეგეგნებოთ იმ ველოსიპედზე: მაგზვევსა თუ მომხმელებს, ქალბატო თუ გეგზოეებს, რომელთაც ველოსიპედზე ნავის ყუთი აქვი მიხმეული.

პირველი, რამაზე ჩვენი ყურადღება მიიპოვო, ესაა ქალაქის მავისტრატოლების განლაგება. ამ თავისებურ განლაგებას ამ „შულესკს“ უწოდებენ, რაც კარუსელის ნიშნავს. მაგრამ საბავშვო კარუსელი არ გვეგონოთ. ეს თავისებური, სამხარულოიანი ქუჩის ტრანსპორტის მოძობობაა. ამ, თითქმის ქალაქის ცენტრში, გაყვანილია გვირაბი, რომელიც საატომომობლო ტრასა გავის. გვირაბის თავზე, მგორი იარუსად, მიხვე დანიშნულებით გადღის ასეთივე ტრასა, მის თავზე რა შესამე იარუსად საჩრეთიგზო მიმოსვლა წარმოებს.

სტოკჰოლმში ჩვენ დავითავიერეთ ქალაქის როგორც ძველი, ასევე ახალი ნაწილი. ვინახულებთ შვეიციის ნაციონალური მუზეუმები, სადაც გავეყნითო შედღერ ხელოვნებას; დავითავიერეთ დღღოდღღის კუნძულები, რომელთაც „ადრითიგზობლა“ ჰყვია. ამ არის მოთავსებული მეფის სასახლე.

ქალაქის დათავიერებისას „ცრთვით სკოლის შენობასთან გავიარეთ. მოწვეულ მაგზვევმა დავგინახეს თუ არა, „მოსკვა“, „მოსკვა“ ძახილით გარს შემოგვეგზებენ. ჩვენ გადავეყით მათი პიონტრის ნიშნები, ღია ბარათები, სხვადასხვა სამკრდე ნიშნები...


შემდეგი ქვეყანა, რომელიც ჩვენ ვინახულებთ, პოლანდია იყო. მას სხვაგანაოდ ნოდერლანდისაც უწოდებენ. იგი თითქმის ყველაზე უფრო პატარა ქვეყანაა დასავლეთ გეროობაში და მდებარეობს ჩრდილოეთის ზღვის ნაპირზე. პოლანდიის ტერიტორია უმეტესად ზღვის დონეზე დამალა მდებარეობს. ამიტომაც ამ ზმიად ზღვა, თუმცა მისი ნაპირები გამაგრებულია, მაინც გადაღის ნაპირიდან და დიდი ზარალი მოაქვს პოლანდიელებისათვის. მაგრამ პოლანდიელები სასტყ ბრძოლას უწყვეტ ზღვას და მიწის სუველ გოჯს სტყცენ მას. ამიტომაც ამზობენ ზოლდე პოლანდიის: „ღმერთმა შეგნა მიწი, ზოლო პოლანდიელებმა პოლანდიის“.

ზღვა რომ ნაპირებიდან არ გადმოვიდეს, პოლანდიელები აგებენ ორმაგი და სამმაგ დამბებს, ჯებირებს და რამებს. პოლანდიისთა თქვენ ნახეთ უმრავლეს კარის წიქელები. მათი დანიშნულება არა მარტო საფეკვაგის დღეზე და ხე-ტყის დასერხებაა, არამედ გამაგრებული წვიმების გემო მიღებებში დაგროვილი წულის ამოქანება და არბების მეშვეობით მისი ზღვაში გადასხამება.

პოლანდიაში ჰავა ზომიერია, მაგრამ ხანდახან სასტყი ყინებები იცის, და ამ დროს ყველა პოლანდიელი, ცქი თუ ქალი, დიდ თუ პატარა, ცივებრებზე ღვება და ისე დაღის სასახურები, თუ სკოლები. ხშირი შტორმების დროს პოლანდია დიდ უტეებრებას განიცდის. 1953 წლის თებერვალში, ღამით, ზღვაზე ამოგარდა ძლიერი შტორმი, რომელ-



სურათებზე: 1. ქენის ასეთ დაგველახს უნა ენაღვლენ სტოკჰოლმელი ავარიანი ქალაქის არაგველებზე სხვეფდაის 2. ველოსიპედის საყვარლო სტოკჰოლმის ცენტრი ქუჩაზე 3. შვეიციაში შევის სასახლე 4. სტოკჰოლმის ხაზელა პაბლოთიგვა 5. ასეთი კიდველი სტოკჰოლმის სასახლე სრული ნაპირებზე. ეს სანაპიროები ხელოვნო დასახლებული ადგილებზე იყოლები.





მელა კახიძე

მზენაბელი კორაღა

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

1

— კაკ-კუტკ, კაკ-კუტკ, კოდალა ვარ —
გამოცდილი ხურო.
შოშიებო, კაჭკაჭებო,
მინდა გემსახუროთ.
გავჭრა სახლის საძირკველი,
ქერი გადავხურო.
მე ხურო ვარ საკვირველი,
არ გეგონოთ ვხუმრობ.
კოდალა ვარ დარდიმანდი,
არ მაწუნებს დარდი.
სადაც წავალ, სულ თან დამაქვს
ხელეჩო და წალდი...
გამოცვივდნენ კაჭკაჭები,
ჩნიკვები და სხვები:
— უბინაოდ არ დავრჩებით,
აგრემც გენაცვლებით.
სამი დღეა ცისქვეშ გვძინავს,
გვცოვა, თავზე გვაწვიმს.
— აგიშენებთ ისეთ ბინას,
შეეხარბოს არწივს.
ოღონდ, თუ გსურთ ავაშენო
სახლი სასახლო,
წინდაწინვე უნდა მომცეთ
ჩემი გასამრჯელო.

2

უცებ ყველა დაფაცურდა,
ვისაც სახლი სურდა.
იძახოდნენ: მშენებელი
ამისთანა უნდა!
გაუშალეს ჰურ-მარილი,
ფულიც მისცეს ხურდა
დატრიალდა ხეკაკუნა—
ციბრუტივით მარდი,
მიწა ორგან მოთხარა და...
ახმაურდა წალდი.



წამში გაჭრა საძირკველი,
წიფელს წალდი წაჭკრა:
— მე ხურო ვარ საკვირველი,
აგიშენებთ სახლ-კარს! —
გულში ვედარ ეტეოდა
სიხარული კაჭკაჭს,
გზაზე გამვლელს ეხვეოდა,
უხვებოდა ამბავს...
ჩნიკვს კი, სახლის მოლოდინში,
აბოდებდა ძილში,
კოდალას ხან შვილს ეძახდა,
ხან საყვარელ ძმიშვილს.
შრრ, — შრიალებს შალაშინი,
მართლა, განა ხუმრობს,
ორ სახლს ერთად ააშენებს
გამოცდილი ხურო.

3

როდი უყვარს ჯდომა მუქთად,
ოფლი წასკდა ღვარად.
გაშლილ სუფრას შემოუფდა,
როცა დაილალა.
გადააბა სადღეგრძელო,
ხურო თამალობდა:
— იცოცხლეო მასპინძელო,
გაგიმრავლდეს მოღვმა.
გადარია ლხინმა,
დაეკარგა თავი.

მოიყვანეს შინა
უგონო და მთვრალი.
მეორე დღეს ხუროს
გვიან გაუთენდა,
დადიოდა, გზაზე
ზეზეულა თვლემდა.
ჩხიკვი აატირა,

ყველა გააკვირა:
— დღეს ვერ ვიმუშავებ—
კვირააო, კვირა!
ძლიერ ცხელა ძმებო,
ოი, მიჭირს სუნთქვა.
კარგო მასპინძლებო,
გამიშალეთ სუფრა!—
ბჭობენ კაჭკაჭები:
— შემოდგომა მოდის,
ეს კი მუშაობას
როდის ფიქრობს, როდის?..
კოდალა კი ღხინობს,
გვერდზე უდგას ღვინო.

4

მეორე დღეს ხურომ
გააყრუა სახლი:
— ვაი, რა დროს წავხდი,
ვაი, ავად გავხდი.
ვჭამე თაფლი ტუბილი,
მტკივა სიბრძნის კბილი.
სამი დღე და ღამე
ვეღარ დავიამე...—
ატირდა და განგებ
აიხვია სახე.
— ვკვდები, ვკვდები, მოდიოთ,
თქვენი თვალით ნახეთ.—
დაიკაწრა ლოყა,
მწარე კვნესას მოჰყვა:




— რა დიდ საქმეს ვცდები,
ვაი, რა დროს ვკვდები!
მომირჩინეთ კბილი,
ყველას გევედრებით.—
კვნესის, ხვნეშის, ტირის
ხურო ოინბაზი.
კაჭკაჭებს და ჩხიკვებს
ბრაზი ახრჩობთ, ბრაზი:
— ხედავთ, ხეკაკუნას
დასაცინი გავხდით.
როგორ შეგვატყუა
უკედლებო სახლი!—
გადაყვიოთღა ველი,
გადაყვიოთღა მთები,


შორს საფრენად ყველანა
გაისწორა ფრთები.
დამალათ კოდალა
კაჭკაჭებს და ჩხიკვებს.
მისმა ძებნამ მოღალათ,
მთები გადაჩხრიკეს...

5

გაზაფხულზე, როცა ყველგან
ხეში წყალი დგება,
როცა მწვანე კაბას იცვამს
მთა—ჭადრების დედა,
მატყუარა ხურო
ხიდან ხეზე დახტის:
— ჰე, ვის უნდა ხელად
ავუშენო სახლი!—
დახტის, თვალებს აფახულებს,
არვის არ იკარებს,
უბოდიშოდ აკაკუნებს
ყველა სახლის კარებს.
— კაკ-კუკ! კაკ-კუკ!
კოდალა ვარ—
გამოცდილი ხურო.
შოშიებო, კაჭკაჭებო,
მინდა გემსახუროთ.
მე ხურო ვარ გამოცდილი,
არ გეგონოთ ვხუმრობ...—
მაგრამ ყველგან დახშულია
მისთვის სახლის კარი,
მახლობლების ნატრულია,
უმეგობროდ არის.
დახტის, თვალებს აფახულებს,
სამუშაოს ეძებს...
აი, რატომ აკაკუნებს
ხეკაკუნა ხეზე.



ეუფდობიან გაქნიკას



იმ დღეს თბილისის №23-ე საშუალო სკოლა ბავშვებით იყო სავსე, და განა მარტო ბავშვებით! აქ იყვნენ მასწავლებლები, მშობლები.

ჯგუფ-ჯგუფად მოედინება მოსწავლეთა სულ ახალ-ახალი ნაკადი, ქველა დიდი დარბაზისაკენ მიემართება, სადაც მოწყობილია პიონერთა და მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედების მე-7 რესპუბლიკური გამოფენა. აი, დარბაზიც. უამრავი მაკეტები ნახაზები, გემებისა და თვითმფრინავების მოდელები, ნაქარგები...


ყველაზე დიდი ადგილი გამოფენაზე ფიზიკის სხვადასხვა დარგში შესრულებულ ნამუშევრებს უჭირავს, აქ არის უმარტივესი ხელსაწყოები მექანიკაში: დახრილი სიბრტყე, სასწორი, მექანიკის ზოგიერთი კანონის შესწავლისათვის განსაზღვრული ასაწყობი ჩარჩო. შემდეგ უფრო რთული ხელსაწყოები მოდის. ყველა ეს ნამუშევარი გვიჩვენებს, თუ რამდენად ეხმარება მოსწავლეებს ამა თუ

იმ ხელსაწყოს დამზადება ფიზიკის კანონების შეთვისების საქმეში. განა ოდესმე დაავიწყდებათ სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებს ჯ. კომახიძესა და ვ. წულაიას თუ რომელი ლითონი უკეთ ატარებს დენს? მათ ხომ ამის გასაგებად ფიზიკის კურსის გავლის დროს დაამზადეს ხაზოვანი გაფართოვების ელექტროფიცირებული ხელსაწყო.

მოსწავლეთა ერთი ჯგუფის ყურადღება მიიპყრო შემდუღებელი აპარატის მუშაობამ. მათ ხომ ასეთი პროცესი ხშირად უნახავთ ტრამვაის ლიანდაგზე, როდესაც სახეზე ნიღბაფარებული მუშები ერთმანეთთან აკავშირებენ ლიანდაგებს. აი, ეს აპარატი მათმა თანატოლმა,

ტყვარჩელის მეოთხე საშუალო სკოლის მოსწავლე ე. ხანიშვილმა დაამზადა. — ეს კიდევ რაღაა? — კითხულობს თმანუჭუჭკა ბიჭუნა და გოცებით შეჰყურებს ლითონის გრძელ მონიკლებულ ჯოხს, რომელსაც წვერზე ორი ერთმანეთთან ახლოს მდებარე ნახევარწრე აქვს და ზედ გრძელი ტომარა ჰკიდია.


— ეს ხილის საკრეფია. — უხსნის დაინტერესებულ ბავშვს პედაგოგი ი. ზაუტაშვილი, — იგი ნორჩმა ტექნიკოსმა ი. წიწუაშვილმა დაამზადა. აი, ეს კი, — უჩვენებს ასეთივე ტიპის ჯოხზე, — სასხლავია, იხმარება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ვაზის ტოტები მალაა აზიდული და ადამიანი მას ვერ წვდება.



სამგზავრო გემი „პობედა“. ქუთაისის პიონერთა სახლის გემთმშენებელთა წრის წევრების ნამუშევარი.

ტექნიკური სექციის წევრი, X კლასის მოსწავლე თენგიზ ბერაია (მარცხნიდან მესამე) მოსწავლეებს აცნობს წისკვილკომბინატის მოქმედების პროცესს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა




თბილისის 79-ე საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლეების მიერ დამზადებული რკინიგზის მოქმედი მოდელი.

დარბაზის ერთ ნაწილში იდგილი მაგიდა დაუდგამთ. აქ აწყვიტა სხვადასხვა ტიპის გემის მოდელები. ვინ იცის, მოდელების ნორჩი ავტორები შემდეგში ნამდვილი გემის ამგები ინჟინრები გამოვიდნენ. დღეს კი აქ წარმოდგენილი მათი ნამუშევრები დამთვალიერებლების დიდ მოწონებას იმსახურებს.

წლებადღელ გამოფენაზე განსაკუთრებით მრავლად არის წარმოდგენილი მხატვრულად შესრულებული მოდელები: ამა თუ იმ პროცესს ნორჩი ტექნიკოსები უბრალოდ კი არ გადმოსცემენ, არამედ ცდილობენ გვიჩვენონ ის გარემოც, სადაც მიმდინარეობს იგი. აი, თუნდაც გამოფენაზე წარმოდგენილი ფუნქულიორის მოდელი. ჩაირთვება თუ არა დენი, თვალწინ წარმოვიდგებათ ფუნქულიორის პლატო თავისი ასასვლელით, ტრამვაის ხაზით, მწვანე ნარგავებით, სატელევიზიო ანძით. ეს შესანიშნავი მოდელი დაამზადეს 72-ე საშუალო სკოლის ფიზიკის წრის წევრებმა.

განსაკუთრებით ბევრი დამთვალიერებელი შეგროვილა მოძრავი ექსკავატორის მოდელთან, რომელიც გამოფენაზე სტალინის ნორჩ ტექნიკოსთა სახლის წრის წევრებმა გამოგზავნეს.

.. სადამოა. მოჩანს ელექტრონათურებით გაჩირაღდებული სახლები. უეცრად, მოწმენდილ ცაზე წამოვიდა შავი ღრუბლები, დაუშვა კოკისპირულმა წვიმამ, რომდენიმე



საფთიაკო კარადა. ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა სადღურის ხელმარჯვეთა წრის წევრის ო. ხალარიძის ნამუშევარი.

ადგილას გაიელვა. რადგან სოფელი მალოზხეა, სახლები მეხთამრიდებითაა დაცული; მაგრამ აგერ ერთ სახლს მეხთამრიდი არა აქვს. სწორედ ამ ადგილს დაეცა მეხი. გაჩნდა ხანძარი.

მეხთამრიდის ეს საინტერესო მაკეტი შექმნეს თბილისის 25-ე საშუალო სკოლის ფიზიკის წრის წევრებმა ს. ვასილიევამ და ს. ამირაგოვამ.

მნახველთა ყურადღებას იმსახურებს ფოთის მე-2 საშუალო სკოლის ფიზიკის წრის ტექნიკური სექციის წევრების თ. ბერაიას, რ. ჭყონიას, ი. კომახიძის და ვ. ჯიჩიძის მიერ შექმნილი წისქვილ-კომბინატის, ქარის ტუმბოსა და სარწყავი მანქანების მოდელები. ამ ნამუშევრებით მოსწავლეებმა გვიჩვენეს არა მარტო საგნის კარგი ცოდნა, არამედ შემოქმედებითი ძიების უნარიც.

გამოფენაზე, გარდა ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, და ბიოლოგიის დარგში შექმნილი საინტერესო ექსპონატებისა, მრავლად არის წარმოდგენილი რესპუბლიკის სკოლებისა და პიონერთა სახლების ხელგარჯილობის წრის წევრების ნამუშევრები. აი, ეს კუთხეც. ვის არ მოხიბლავს მოსწავლეების მიერ ფაქი-



გაზსადენი გროზნო-თბილისი

ზად შესრულებული ნამუშევრები: საწერი მაგიდის მოწყობილობა, მხატვრულად გაფორმებული ვაზა, თოჯინების თეატრის მაკეტი, ქალაქისაგან გაკეთებული ყვავილები, თაბაშირში შესრულებული ქანდაკებები.

ახლა გამოფენის მეორე დარბაზში გავიდეთ. აქ მოთავსებულია მანქანათმშენებლობის განყოფილება, რომელიც გამოფენაზე წელს პირველად არის წარმოდგენილი; მაგრამ აქ გამოფენილი ექსპონატები მოწმობენ, თუ როგორ კარგად დაეუფლენ მოსწავლეები საზეინკლო, სადურგლო, სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადებას.

ამავე დარბაზშია მოთავსებული თბილისის 79-ე საშუალო სკოლის ფიზიკის წრის წევრების შესანიშნავი ნამუშევარი — ელექტროფიცირებული რკინიგზის მოდელი.

სულ გამოფენაზე წარმოდგენილია 2000 ექსპონატი. თუ როგორი სერიოზულობით მიუღდნენ მოსწავლეები გამოფენის მომზადებას, ამას ისიც მოწმობს, რომ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე: „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლას“ მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 20.000-ზე მეტმა მოსწავლემ. კონკურსზე შემოსული საუკეთესო ნამუშევრები გამოტანილი იქნა ამ გამოფენაზე.

აი, წითელყელსახვევიან მოსწავლეთა ერთი ჯგუფი. მათ უკვე დაუმთავრებიათ გამოფენის დარბაზების დათვალიერება და ერთმანეთს უზიარებენ მიღებულ შთაბეჭდილებებს, კამათობენ ცალკეული ექსპონატების შესახებ... ეჭვგარეშეა, ბევრი მათგანი დღეს დამთავალიერებელი, თუ გამოფენის მონაწილე, მომავალში ჩვენი საბჭოთა ტექნიკის გამოჩენილი ოღვაწე შეიქმნება.

ლ. ხუბულური

„მარადი ცეცხლი“ — ასე უწოდებდნენ ძველად ბუნებრივ გაზს. ძველი აღმოსავლეთის ხალხები ამ „მარად ცეცხლს“, თაყვანისცემის ნიშნად, განსაკუთრებულ ტაძრებს უშენებდნენ, სადაც მუდმივი ცეცხლი ენთო.

ბუნებრივი გაზის გამოყენება ძველ ჩინელებს, ირანელებს, აზერბაიჯანელებსა და ზოგ სხვა ხალხებსაც სცოდნიათ. ადრე გაზს გასათბობად, ბინების გასანათებლად, საქმლის მოსახარშად იყენებდნენ. ბუნებრივი გაზის მრეწველობაში გამოყენება კი მხოლოდ მე-19 საუკუნიდან იწყება. მას შემდეგ გაზი მტკიცედ დამკვიდრდა ქიმიურ და მეტალურგიულ, კვებისა და ცემენტის მრეწველობაში, ყოფაცხოვრებაში.

დღეისათვის საბჭოთა კავშირში მთლიანად გაზიფიცირებულია ისეთი მსხვილი სამრეწველო ცენტრები, როგორცაა: მოსკოვა, ლენინგრადი, კიევი, სტალინგრადი, ბაქო, სარატოვი, ლვოვი, კუიბიშევი და სხვ. უკვე მაქსიმალურადაა გამოყენებული ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი გაზის ისეთი უმთავრესი საბადოები, როგორცაა ჩრდილო კავკასიისა და ვოლგისპირეთისა. მომავალში სწორედ ჩრდილო კავკასიიდან, სახელდობრ სტავროპოლის საბადოებიდან გაყვანილი იქნება გაზსადენი გროზნოდან თბილისამდე.

თუ რამდენად ხელსაყრელია გაზის გამოყენება სხვა სახის სათბობთან შედარებით, შემდეგი მონაცემებიდან ჩანს: ერთი ლიტრა წყლის ასადუღებლად საჭიროა დაიხარჯოს 10-11 კაპიკის შეშა, ან 5-6 კაპიკის ნავთი; ხოლო იმავე ერთი ლიტრი წყლის ასადუღებლად საჭიროა 0,9 კაპიკის ბუნებრივი გაზი. ასე დიდია გაზის უპირატესობა სხვა საწვავთან შედარებით.

ჩვენი მზარდი დედაქალაქი სულ უფრო მეტი რაოდენობით მოითხოვს საწვავ-სათბობსა და ენერჯიას, ამასთანავე თბილისის სათბობით მომარაგება ჯერ კიდევ ძველი წესით ხდება. შემოგვაქვს ნავთობი, მავუთი, შეშა, ქვანახშირი, რაც ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობის და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას.

სათბობის გამოყენება დაკავშირებულია მრავალ უხერხულობასთან. ნახშირი, შეშა და ნავთი ანაგვიანებს ბინებს, ხოლო მათი არასწორი წვის შედეგები კი — ჰაერსაც.

საქართველოში არ გვაქვს სამრეწველო მნიშვნელობის ბუნებრივი გაზის საბადოები, ამიტომ თბილისი გაზს მიიღებს სტავროპოლის მხარედან.

მომავალში გაზსადენი მიყვანილი იქნება ქალაქ რუსთავამდე, რომელიც გაზის დიდ მომხმარებელად გადაიქცევა.

გაზსადენის გაყვანით გაზიფიცირებული იქნება თბილისის კომუნალური საწარმოები, საცხოვრებელი ბინები, საავადმყოფოები, სკოლები, საბავშვო ბაღები, უმაღლესი სასწავლებლები, დაწესებულებები და სხვ. ამით ყოველწლიურად მნიშვნელოვნად დაზოგილი იქნება რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის ღირებულებული საწვავ-სათბობი და ენერჯია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გაზსადენის მშენებლობაზე დახარჯული თანხა ანაზღაურებული იქნება 3-4 წლის განმავლობაში.

ბ. ზარდალიშვილი,
გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

დილა მთაში


სხივით ინთება დილა,
ქლურტული გააქვთ ჩიტებს,
ტყეები გაბარდნილა,
მკერდი გულს ველარ იტევს.

ხევში ჩანჩქერი მღერის,
მოჰქუხს მდინარე მღვრიე,

ზეცას აქვს იის ფერი,
ზეცის ფერი აქვს იებს.

მამულო, გული ფეთქავს
და შენი ემხით იწვის,
შიგ ქლერს, რაც უნდა მეთქვა,
დიდება მშობელ მიწის!

ნოდარ არაბული,
ბარისახოს საშ. სკოლის
VIII კლ. მოსწავლე.



ოვია იოსელიანი

ნახ. ალ. ბანძელაძისა

ასე მოკვდა მურია

მეორე დღეა, მურია აღარ გამოჩენილა, მეორე დღეა, მურიას ჩახავებული ხმა არავის გაუგონია და, მეორე დღეა, მურიას ულუფა ხელუხლებლად დევს მის საწოლ თივიან ყუთთან.

- სად არის მურია?—ვკითხულობ მე.
- მურია მეორე დღეა, დაიკარგა,—წუხს მზია.
- ღმერთო ჩემო, ეს ძაღლი სად გაქრა!—უკვირს ბებიას.
- არ მოშივდა მაინც? —ახალ ულუფას ინახავს დედა.

ბაბუა ღუმს.
მურია, ჩემი მეგობარი მურია, ჩემი ჭკვიანი ძაღლი!
— მურიააა!... ჰაუ, მურიაა!
არავინ მპასუხობს.

იქნებ მურია ცოცხალი აღარაა, მოკვდა იქნებ ჩემი ბებერი მურია?

მე ყელში ბოღმა მაწვება, რაც ხელს მიშლის ისევ მოვუხმო ჩემს კუდახვეულ ბომბორას. დავდივარ ეზოში, ხეს, ქვას, ლობეს, ყორეს, ფიჩხების გროვასა და ვენახის ჯარჯს ვსინჯავ, ვუკვირდები და ისევ ხმადაბლა ვეძახი:

— გესმის, მურია, გესმის! დამენახვე, მურია... მე ხომ შენ არასოდეს მიცემიხარ, მე ხომ შენთვის არასო-

დეს წკიპურტიც არ დამიკრავს. გამიგონე, მურია, დამენახვე, შე უმადურო!

...მაგრამ, სულერთია, მურია არ მეხმაურება, მურა არსად ჩანს.

ჩემო მურა!... ცხოვრების გზაზე რაც კი მინახავს—მურიასთან ერთად. იგი ჩემი განუშორებელი მეგობარი იყო. დაკარგული ძროხის ძებნაში თან მახლდა, წისქვილიდან, გზაზე შემოღამებულს ფეხდაფეხ მომდევდა და ტყეში გზააბნეულს წინ მიმიძღოდა.

— მურია!..
მე მაშინ პატარა ვიყავი, სკოლაშიაც კი არ დავდიოდი. ერთ ზაფხულს, პაპანაქება დღეს, ზემო უბანში ყვირილი და აურზაური ატყდა, აყეფდნენ ძაღლები და ზედიზედ თოფმაც იგრილა...

რაკი შინ არავინ მეგულებოდა, ბებოს გარდა, და ბებოსაც ცოტა ყურს აკლდა, დრო ვინელთე და ჭურასთან ერთად გზაზე გადავედი. მართალია, ხმაური თანდათან ახლოვდებოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მაინც წინ წამიყვანა. მოსახვევს რომ გავცდი, ვხედავ, ორღობე მთელი უბნის ძაღლებით ავსებულა,—ქინჩე ბალანწამოყრილნი ყეფენ და ყმუიან კიდევ. ზემოდან ხმებმა იმატა და, როცა შუა ქუჩაში ძუნძულით მომავალი, კუდათრეული ჭრელი ნაგაზი გამოჩნდა, ძაღლები



წვილ-კივილით გაცვივდნენ—რომელი რომელს გაასწრებდა—ზოგი ჭიშკარში, ზოგი ლობეში. მალხაზის ბროლია მესერში გაეჩხირა. მთელი ერთი თვე არ მოშუშებია კისერზე გადატყავებული. მე მერე გავიგე, რომ ცოდიან ფინიასაც კი ყველაზე უშიშარი ნაგაზიც ვერ შებედავს. მაგრამ მამის ამის შესახებ არაფერი ვიცოდი და მურიას იმედით შუა გზიდან გადახვევასაც არ ვაპირებდი.

მურია აწირილდა, როცა ჭრელმა ნაგაზმა პირდაპირ მე მომაშორა.

— ქსის, მურა... ეცი, ეცი!...—შევაგულიანე. მაგრამ მურია მასზე მალალ, ცოფიან ძაღლს აგრე ადვილად როდი შებედა.

ამ დროს მდეგრებიც გამოჩნდნენ და, როცა შუა გზაზე ცოფიანის პირისპირ მე შემნიშნეს, ერთი ყურისწამლები აურზაური ატეხეს.

- გაიწი!
- გზიდან გადადექი!
- გაიქეცი!
- თავს უშველე!

მე, რასაკვირველია, დავიბენი და შებრუნებულმა გაქცევა დავაპირე რომ, იქვე ხმელ ბელტს წამოვედე და ადგილს მოწყვეტით დავასკდი.

— ჰამ, ჰამ, ჰამ!—ვიცანი მურიას ხმა და, როცა მიწიდან თავი ისევ გასაქცევად წამოვყავი, ჩემს ახლოს ორი გაგორებული ძაღლი დავინახე. გაქცევით აღარ ვაგქცეულვარ, რადგან, მართალია, მურიას ძაღლებთან წარა-მარა ჩხუბი არ უყვარდა, მაგრამ, როცა სხვა გზა არ იყო, მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

ახლაც მედგრად უტევედა მურია. უკანა ფეხებზე წამომდგარი, წინა ფეხებით ნაგაზის დაღრენილ ხახას იშორებდა და ლურსმანივით გრძელ კბილებს კისერში უჭერდა. ცოფიანი ახავლდა, ახროტინდა. ამ დროს ხელკეტებითა და თოფებით შეიარაღებული მდეგრებიც მოაწყდნენ და თავგახეთქილი ნაგაზი იქვე გზისპირა არხში გადაუძახეს.

სისხლგადენილი მურია ბომბორა კუდის ქიციანით მე მომეჭრა, მაგრამ მდეგრები შეუწყრნენ; ერთმა ორპირა თოფის ჩახმახიც კი შეაყენა ფეხზე.

— ააა!—ვიწივლე მე, როცა თოფი მურიას მიუღირა, —არ ესროლო!— და ხალათის კალთაში დავწიე. თოფმა იგრიალა, მაგრამ ალბათ მე შევეშალე ხელი და მურას იმიტომ თუ ასცდა.

გულამოვარდნილი, თმაგაწეწილი ბებია მოვარდა, ბაბუამაც ვენახიდან მოიბრინა, და ხელში ამიტაცეს.

— არ მოკლათ, მურია არ მოკლათ!—გავკიოდი და ფეხებს და ხელებს, როგორც კი შემეძლო, ვასავსავებდი. ბაბუამ გამოიკითხა, თუ რაში იყო საქმე, რატომ უნდა მოეკლათ მურია.

— ასეთი ძაღლი, ცოფიანს რომ შებმოდეს, ჯერ არ გამიგონია! ეტყობა დიდი ერთგული რამეა, მაგრამ აწი რალად გინდა, დაგესლილია და...

— არ მოკლათ, მურია არ მოკლათ!—ისე გავიწიე მე —ბებუას ლამის ხელიდან გავუსხლტი.

— არა, გიორგი!—თოფი დააწევიანა ბაბუამ,—თვითონვე გინახავს, ბავშვი გადამირჩინა მაგ ძაღლმა.

— მერე და, სამსონ, აწი თვითონ ეგ მეტი საშიში არაა?!

— არა. მოუფელი, ახლოს არვის გავაკარებ, ვუწამლებ, იქნებ გადავარჩინო გაცოფებას.

— თუ კაცი ხარ...

— დარდი ნუ გაქვს,—დაამშვიდა ბაბუამ,—ყოველ ღონეს ვიხმარ, ყოველ ღონეს. ეს არაა თოფით მოსაკლავი ძილლი.

მთელი ორმოცი დღე ჯაჭვით მოკლედ დაბმულ მურიას ბაბუა ნაცარში გამომცხვარი მჭადით კვებავდა და მგონი იმავე მჭადში გოგირდს, ცოტაოდენ შაბიამანს და კიდევ რალაც წამლებს ურევდა.

მართალია, ყველას აკრძალული გვექონდა ძაღლთან მიახლოება, მაგრამ მე, როცა თავს მარტო დავიგულედი, ისე, რომ არავის დავენახე, მურიასთან ახლოს ჩაცუცქედბოდი და ვეკითხებოდი:

— როგორა ხარ, მურია?

იგი მოკითხვისათვის თვალებს კმაყოფილებით ახამხამებდა და კუდის ქიციანით მაიმედებდა: „არა მიშავსო“.

— იცი, მურია, არ გაცოფდე, თორემ შენც ისევე მოგკლავენ, როგორც ის ჭრელი ნაგაზი მოკლეს, მე რომ



— მურიაა... ბაბუ, მურიაა!

კბენა დამიპირა და შენ გადამარჩინე. ჰო, მურია, არ გაცოფდე, გესმის, თუ გიყვარვარ, არ გაცოფდე.

უნდა გენახათ ჩემი სიხარული, როცა მურიამ დამიჯერა და გაცოფებას ისევ ჩვეულებრივ მურიად დარჩენა ამჯობინა.

— ჩემო მურია, ჩემო კვკიანო კუდბომბორა!—ყელზე ვეხვეოდი, როცა ბაბუამ ჯაჭვი მოხსნა და ნება მომცა ახლოს მივსულიყავ ძაღლთან.

მურია ფეხებს მილოკავდა, ზედ მახტებოდა, მესიყვარულებოდა.

მას შემდეგ კიდევ რამდენი რამ მომაგონდება. რამდენი! მაგრამ ბოლოს და ბოლოს დროს თავისი მიაქვს და მურიაც დაბერდა. დიახ, მურია ძალიან დაბერდა. მუხლი ძველებურად აღარ უვარგოდა, კბილები დაუმოკლდა და დაუჩლუნგდა, ხმაც აღარ უჭექდა, ყელში თითქოს თევზის ძვალი გაეჩხირაო, ისეთი ხავ-ხავი და ზოგჯერ ყმულიც აღმოხდებოდა ხოლმე.

მაგრამ ერთი რამ არ დაბერებულა მურიაში—პატრონის ერთგულება!

... და დღეს, მეორე დღეა აღარ ჩანს მურია.

— მურიააა...

ეჰ, არ ჩანს მურია!

რა ვქნა, ვის ვკითხო მურიას ამბავი, როცა ყველაზე უკეთ თვითონ უნდა ვიცოდე?!

— მუ-რი-ააა!

მაგრამ, მოიცა, ბაბუ რატომ დუმს? ბაბუა რატომ არაფერს ამბობს? ბაბუას ერთხელაც არ უკითხავს მურიას შესახებ.

— ბაბუ, მომიხმინე, ბაბუ...

ბაბუამ თავი მძიმედ მოაბრუნა ჩემკენ.

— გამიგონე ბაბუ, შენ იცი, შენ უსათუოდ იცი, სადაა მურია...

— არ ვიცი!—თავი გაიქნია მოხუცმა. მაგრამ მე მაინც არ მოვეშვი: აბა, რატომ არაფერს კითხულობს ბაბუა, როცა ჩვენ...

— არა, ბაბუ, შენ იცი, შენ უეჭველად იცი! ჰოდა, თქვი, მე ხომ მურიამ ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ გადამარჩინა, ის ხომ მუდამ ჩემი ერთგული იყო და მეც მხოლოდ ვნახავ, მხოლოდ დავხედავ და მეტი არაფერი... —არ ვიტყვებ, გესმის, არ ვიტყვებ!

— სადაა, არ ვიცი, შვილო, —თავზე გადამისვა ბაბუამ დაკოჭრილი მარჯვენა, —მე მხოლოდ ეს ვიცი, რომ... —შეყოყმანდა მოხუცი.

— თქვი, თქვი, რაც იცი, ყველაფერი თქვი...

— ჰო, მე ის ვიცი, რომ... მურია დაბერდა.

— კი, ბაბუ, ეგ ხომ მეც ვიცი.

— ჰოდა, რაკი დაბერდა, ადვილი შესაძლებელია მომკვდარიყო კიდევ.


— არსად არაა, ბაბუ, არც მკვდარი, არც ცოცხალი. ეზოში არაა.

— აი, საქმეც მაგაშია რომ, თუ მოკვდა, ეზოში არ იქნება.

— გადაათრიე, ალბათ, ბაბუ, და ეზოში როგორღა იქნება...

— არა, მე არც გადამითრევია და არც მკვდარი მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ ოჯახში დაბერებული ერთგული ძაღლი ეზოში არ მოკვდება.

—ჰმ! არ მოკვდება! ძალიან კი იცი, სად მოკვდება! —წყენით ვთქვი მე, რადგან ისევ მეგონა ბაბუა სიმართლეს მიმაღავდა.



— არ მოკვდება-მეთქი! — გამიმეორა ბაბუამ, — ის სიკვდილამდე პატრონის ერთგულია და თავის ლეშს მის გადასათრევს არ გახდის.

მე მეტი აღარაფერი მიკითხავს, ჩემთვის სულ ერთი იყო მართალს ამბობდა თუ არა. მურია ცოცხალი, ან მკვდარი უნდა მენახა.

— მურიაააა...

...მაგრამ დიდხანს როდი დამჭირდა ძებნა: როგორც კი მინდორი გადავიარე და თელიანში მურიას ისევ მოვუხმე, ტყის სიწყნარეში რალაც ჩუმი, ძალიან ჩუმი ფაჩუნი მომესმა. ეს მურას კული იყო, — ოღონაც რომ ირხეოდა ჩამონაყარ ხმელ ფოთლებში.

— მურია, ჩემო მურია! — სიხარულით წამოვიყვირე მე, დიახ, სიხარულით! მაგრამ მურიას ხმა აღარ გაუცია, მურია დუმდა, თავიც კი არ აუღია, მხოლოდ ხმელ ფოთლებში წყნარად, ძალიან წყნარად არხევდა კულს.

— როგორ, მურია, კვდები? — ჩავეკითხე მე და ცრემლები... მოვატყუე ბაბუა — არ ვიტყვებ-მეთქი.

— მურია, აქ რატომ წამოხვედი, მურია, აქ რა გინდოდა, შე უბედურო...

კულს ისევ უღონოდ, უილაჯოდ აქნევს, თავი წინა თათებზე უღევს და ძილმორეულივით მინაბულ თვალებს არ მაშორებს.

— წამოდი, მურია, წამოდი შინ, იმ ეზოში არ გიჯობს სიკვდილი, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად დარაჯობდი? წამო, შენს საწოლში გიჯობს, შენს თივიან ყუთში... იქნებ ჰამო რამე, იქნებ გწყურია კიდეც, იქნებ...

... მაგრამ არა, მურია არც ცდილა წამოდგომას.

— შე სულელო, მერე რა, რომ დაბერდი, მერე რა, რომ უკვე ძველებურად აღარ შეგწევდა ძალა. როგორ გახსოვს, შეგიძულა ვინმემ? ვინმე უდიერად მოგექცა? არა, მურია, შენთვის არავის უსაყვედურებია სიბერე! შენ კი ადექი და შენი ლეკვობიდან აგერ სიკვდილის წინა წუთებამდე ნაერთგულევი მიატოვე, მიატოვე ისე, რომ არვის გამოემშვიდობე, — წამო მურია, იქნებ გესიამოვნოს შინ, იქნებ არც მოკვდე. მე ახალ საძაღლეს აგიგებ... იცი, სულ ვფიქრობდი, მინდოდა ახალი ამეგო, მჭიდრო, გადახურული, და რბილი ბამბით ამევესო მაგრამ ვერ მოვასწარი, მურია...

ამაოდ ვთხოვდი, ამაოდ ვემუდარებოდი; კულის ქიცინი შეწყვიტა. თვალები დაუვიწროვდა და სუნთქვა მიუსუსტდა. ხელი კისერზე მოგხვიე და თავის წამოწევა დაეუპირე, მაგრამ არა, უკვე გვიან იყო...

მურიამ ერთხელ კიდევე შემომხედა, ხელზე, მარჯვენა ხელის ზურგზე მომლოკა. მომლოკა თბილად, რბილად, მსუბუქად.

რა იყო ეს?

ეს ალბათ მადლობა მითხრა მურიამ სიკვდილის წინ... მშვიდობით, მურია, მშვიდობით, ჩემო ერთგულო მეგობარო.

მზიანი დღე მოდის

არე-მარეს მოდებია სიმწვანე,
ილიმება ვარდისფერი დილა;
გოგონები მღერაინ და
თმებში ვარდებს იწნავენ,
ნაკალულიც მორაკრაკებს ტკბილად.

გაზაფხულის სანახავად
გამორბიან დღეები,
ყინვა გაჰქრა და ტაროსი დატკბა;
შრიალებენ გაფოთლილი ხეები, —
სიხარულით არ იციან რა ჰქნან.

ცისკიდური ყაყაჩოსებრ იფერება,
დიდი მთები მიატოვეს ღრუბლებმა
და მზეც მზრუნველ დედასავით ეფერება
გადვიძებულ ბუნებას.

გაზაფხულო!
გაიშალე ასფეროვან ნოხად, —
ია-ვარდი დაგვიფინე გზაზე...
მოდისხარ და მზიანი დღე მოგყავს
და ჩვენს გულებს სიხარულით ავსებ.

გივი ძნელაქაძე

ს ა მ ა ი ს ო

მშვიდობის დამმკვიდრებელი
ისევ მოსულა მაისი;
კვლავ ვეგებებით განთიადს
პიონერული ხალისით.

ცაში მტრედები დაფრენენ,
ფრთები გაშალეს ფრთოსნებმა.
მშრომელი ხალხის დიადი
ასრულებულა ოცნება.

თოვლი გამდნარა მთებში და
წყლით ავსებულა ხევები,
მცხუნვარე მზის ქვეშ რარიაგად
აფეთქებულა ხეები...

ავგავებულა სამშობლო,
გული ივსება ხალისით,
მშვიდობის დიდი მედროშე
მოზრძანებულა მაისი.

ილია ხომბარია



პრემ ჩანლი

ნახ. გ. ფოცხიშვილისა

გემზე ვმსახურობდი და ერთხელ შესაძლებლობა მომეცა კოლომბოში ჩავსულიყავი. დიდხანს ვოცნებობდი მენახა ეს მხარე, განსაკუთრებით რავანის რეზიდენცია მაინტერესებდა. ჩვენი გემი კალკუტიდან წამოვიდა და მეშვიდე დღეს კოლომბოს მივალწვიეთ. მე იქ მეგობარი მყავდა, ქარხანაში მუშაობდა. გამგზავრების წინ წერილი მივწერე ჩამოვდივარ-მეთქი. მეგობარი ნავსადგურში დამიხვდა, ჩემმა დანახვამ ძალზე გაახარა. ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების დანათვალიერებლად გავემგზავრეთ. რაკი ჩვენი გემი ნავსადგურში ოთხი დღე უნდა მდგარიყო, კაპიტანს ოთხი დღის შვებულება ვთხოვე.

ვისაუზმეთ და ბევრი ვიბაასეთ. საუბარი სადაფის ნიჟარებსა და მარგალიტებს შეეხებოდა. მეგობარმა მითხრა: ამ საგნებს აქ ზღვაში პოულობენ. მათი შოვნა ადვილია. მე მინდა გაჩუქო ისეთი უცხო საგანი, რომელიც ჯერ ალბათ არასოდეს არ გინახავს. თუმცა შესაძლებელია მის შესახებ წიგნებში წაგეკითხოს რამე.

— რა არის? — ვკითხე გაკვირვებით.

— გველის ქვა.
— გველის ქვა?! — ხელმეორედ ვკითხე და ტანში გამაჯრყოლა. — ამ ქვის შესახებ რამდენიმე მოთხრობასა და ლეგენდაში ამომიკითხავს. ისიც გამიგონია, რომ იგი

შვიდ სახელმწიფოდ ღირს. მაგრამ ნუთუ ეს ქვა მართლა გველს ეკუთვნის?

— დიახ, მეგობარო, ეს ნამდვილად გველის ქვაა. აი, როცა მიიღებ, თვითონვე დარწმუნდები.

მე არ დავუჯერე. მეგობარი თხრობას განაგრძობდა:


— ცეილონის ჯუნგლებში ორმოცდაათამდე სხვადასხვა სახის გველია. მაგრამ ამ ორმოცდაათი სახეობიდან მხოლოდ ერთ ჯიშს დააქვს მანათობელი ქვა. ჩვენში ასეთ გველებს „კალიას“ უწოდებენ. ამ ქვის ხელში ჩაგდება მეტისმეტად ძნელია, თუმცა შეუძლებელი როდია.

აღრვევ მქონდა გაგონილი, რომ გველს მანათობელი ქვა თავით დააქვს, მაგრამ ახლა ნათელი შეიქნა ჩემთვის, რომ ეს მართალი არაა.

მეგობარმა ამიხსნა:

— გველს პირში უდევს ქვა.
— მაშინ როგორ ხედავს? — შევკითხე.

მეგობარმა გაიცინა და მითხრა:



— როცა რაიმეს დანახვა დასჭირდება, ქვას რომელიმე სუფთა, სწორ ქვაზე დადებს და თვითონ გვერდით მიუწევს. საშიშროების დროს, ქვას პირში ჩაიდებს და ლამის წყვედილში მიიმალება. შემდეგ ისევ იმ ადგილზე მიცოცდება. ასეთი ჩვეულება აქვს: სადაც ერთხელ დადებს ქვას, ყოველთვის იმ ადგილზე მიდის. დღესვე შევეხვეწები ამხანაგებს, ისინი აუცილებლად სადმე იპოვნინან და შეგვატყობინებენ.

ორი დღე გავიდა. მესამე დღეს, საღამოს, ჩემი მეგობარი მოვიდა და მითხრა:

— აი, ძმაო, გველის ქვა ნაპოვნია! სწრაფად წამოვხტი და მეგობართან ერთად ეზოში გავედი, იქ კაცი გველოდებოდა. მოსულმა ახალი ამბავი შეგვატყობინა:

— ეს-ეს არის დავინახე გველი. ქვით ერთობა ჯუნგლებში. თუ წამომყვებით, შეიძლება ქვა ხელში ჩავიგდოთ.


სასწრაფოდ გავყევი. მალე ჯუნგლებში შევედი. უცებ ჩემი მეგზური შეჩერდა, ხელი გაიშვირა და ჩუმად წარმოთქვა:

— აი, გველი! მის წინ კი — მანათობელი ქვა! — მე იმ მიმართულებით გავიხედე, საითაც მიმითითეს. მართლაც, ოცი ნაბიჯის მოშორებით გველი დავინახე. იგი კისერაშვერილი იწვა. მის გარშემო ყვალაფერი განათებული იყო.

ვფიქრობდი, როგორ ჩამეგდო ხელში გველის ქვა. ბოლოს მეგობრისაკენ მივტრიალდი და წავჩურჩულე:

— ვნანობ, რომ იარაღი არ წამოვიღე: ვესროდი, და ქვა ჩემი იქნებოდა.

— იარაღი რა საჭიროა, ბატონო! — წყნარად მიპასუხა მან. — ერთი წუთი დამიცადეთ, მალე მოვბრუნდები.



პრემ ჩანლი

ნახ. გ. ფოცხიშვილისა

გემზე ვმსახურობდი და ერთხელ შესაძლებლობა მომეცა კოლომბოში ჩავსულიყავი. დიდხანს ვოცნებობდი მენახა ეს მხარე, განსაკუთრებით რავანის რეზიდენცია მაინტერესებდა. ჩვენი გემი კალკუტიდან წამოვიდა და მეშვიდე დღეს კოლომბოს მივადწვიეთ. მე იქ მეგობარი მყავდა, ქარხანაში მუშაობდა. გამგზავრების წინ წერილი მივწერე ჩამოვდივარ-მეთქი. მეგობარი ნავსადგურში დამიხვდა, ჩემმა დანახვამ ძალზე გაახარა. ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად გავემგზავრეთ. რაკი ჩვენი გემი ნავსადგურში ოთხი დღე უნდა მდგარიყო, კაპიტანს ოთხი დღის შევებულება ვთხოვე.

ვისაუზმეთ და ბევრი ვიბაასეთ. საუბარი სადაფის ნიჟარებსა და მარგალიტებს შეეხებოდა. მეგობარმა მითხრა: ამ საგნებს აქ ზღვაში პოულობენ. მათი შოვნა ადვილია. მე შინდა გაჩუქო ისეთი უცხო საგანი, რომელიც ჯერ აღბათ არასოდეს არ გინახავს. თუმცა შესაძლებელია მის შესახებ წიგნებში წაგეკითხოხოს რამე.

— რა არის? — ვკითხე ვაკვირებით.

— გველის ქვა.
— გველის ქვა?! — ხელმეორედ ვკითხე და ტანში გამაჟრჟოლა. — ამ ქვის შესახებ რამდენიმე მოთხრობასა და ლეგენდაში ამომიკითხავს. ისიც გამიგონია, რომ იგი

შვიდ სახელმწიფოდ ღირს. მაგრამ ნუთუ ეს ქვა მართლა გველს ეკუთვნის?

— დიახ, მეგობარო, ეს ნამდვილად გველის ქვაა. აი, როცა მიიღებ, თვითონვე დარწმუნდები.

მე არ დავუჯერე. მეგობარი თბრობას განაგრძობდა:


— ცეილონის ჯუნგლებში ორმოცდაათამდე სხვადასხვა სახის გველია. მაგრამ ამ ორმოცდაათი სახეობიდან მხოლოდ ერთ ჯიშს დააქვს მანათობელი ქვა. ჩვენში ასეთ გველებს „კაალას“ უწოდებენ. ამ ქვის ხელში ჩაგდება მეტისმეტად ძნელია, თუმცა შეუძლებელი როდია.

აღრვევ მქონდა გაგონილი, რომ გველს მანათობელი ქვა თავით დააქვს, მაგრამ ახლა ნათელი შეიქნა ჩემთვის, რომ ეს მართალი არაა.

მეგობარმა ამიხსნა:

— გველს პირში უდევს ქვა.
— მაშინ როგორ ხედავს? — შევეკითხე.

მეგობარმა გაიცინა და მითხრა:



— როცა რაიმეს დანახვა დასჭირდება, ქვას რომელიმე სუფთა, სწორ ქვაზე დადებს და თვითონ გვერდით მიუწვება. საშიშროების დროს, ქვას პირში ჩაიდებს და ღამის წყვდიადში მიიმალება. შემდეგ ისევ იმ ადგილზე მიცოცდება. ასეთი ჩვეულება აქვს: სადაც ერთხელ დადებს ქვას, ყოველთვის იმ ადგილზე მიდის. დღესვე შევეხვეწები ამხანაგებს, ისინი აუცილებლად სადმე იპოვნიან და შეგვატყობინებენ.

ორი დღე გავიდა. მესამე დღეს, საღამოს, ჩემი მეგობარი მოვიდა და მითხრა:

— აი, ძმაო, გველის ქვა ნაპოვნია! სწრაფად წამოვხტი და მეგობართან ერთად ეზოში გავედი, იქ კაცი გველოდებოდა. მოსულმა ახალი ამბავი შეგვატყობინა:

— ეს-ეს არის დავინახე გველი. ქვით ერთობა ჯუნგლებში. თუ წამოყვებით, შეიძლება ქვა ხელში ჩაგივლოთ.

სასწრაფოდ გავყევი. მალე ჯუნგლებში შევედით. უცებ ჩემი მეგზური შეჩერდა, ხელი გაიშვირა და ჩუმად წარმოთქვა:

— აი, გველი! მის წინ კი — მანათობელი ქვა! — მე იმ მიმართულებით გავიხედე, საითაც მიმიითვტეს. მართლაც, ოცი ნაბიჯის მოშორებით გველი დავინახე. იგი კისერაშვერილი იწვა. მის გარშემო ყვალაფერი განათებული იყო.

ვფიქრობდი, როგორ ჩამედლო ხელში გველის ქვა. ბოლოს მეგობრისაკენ მივტრიალდი და წაჩურჩულე:

— ვნანობ, რომ იარაღი არ წამოვიღე: ვესროდი, და ქვა ჩემი იქნებოდა.

— იარაღი რა საჭიროა, ბატონო! — წყნარად მიპასუხა მან. — ერთი წუთი დამიცადეთ, მალე მოვბრუნდები.

ესა თქვა და სადღაც წავიდა. მალე მობრუნდა. ხელში რაღაცა ეჭირა.

— რა არის? — შევეკითხე.

— ტალახის გუნდა, — მიპასუხა.

— რად გინდათ?

— ჩუმად იყავით და ნახავთ. —

მიპასუხა ჩურჩულით.

უხმოდ ავიდა ხეზე და მანიშნა მეც იგივე გამეკეთებინა. ხეზე ავედი ჩემი მეგზური ფრთხილად გადაცოცდა დიდ ტოტზე და იმ მხარეს გადაიწია, საიდანაც გველის ქვა ანათებდა. გველს გაუსწორდა და გაიჩინდა. მერე ერთბაშად ტალახის გუნდა გადააგდო და გველის ქვა მიწით დაფარა. უცებ ჩამობნელდა. ჩვენამდე მოღწეული ბალახისა და ფოთლების შრიალითადვილი მისახედარი იყო, რომ შეშფოთებული გველი უჩივთ-აქეთ დაძრწოდა, რათა ქვა ეპოვა.

მთელი ღამე თეთრად გავათენეთ.

როგორც კი ინათა, მიმოვიხედეთ და ხიდან ჩამოვედით. ჩემმა თანამგზავრმა მიწა აქეჭა. მის ქვეშ გველის ქვა იყო.

სახლში რომ დავბრუნდი, მეგობარმა მკითხა:

— ახლა ხომ გჯერა?

— მჯერა, — ვუპასუხე მე, ქვა ნამდვილად გველს წავართვით. მაგრამ მაინც მეეჭვება, რომ ეს სწორედ ის ქვა იყოს, რომელიც შვიდ სახელმწიფოდ ღირს.

დაწვრილებით შევისწავლე ის ქვა და მიხვდი, რომ იგი ქვების ისეთ სახეობას ეკუთვნის, რომელიც მცირეოდენი გათბობის დროსაც ნათებას იწყებს და მანამდე ანათებს, სანამ სულ არ გაცივდება.

გველს ქვა მთელი დღე პირში უდევს და ამ გზით ათბობს. ღამით თავისი ქვით ჯუნგლებში სანადიროდ მიემართება. გამოიღებს მანათობელ ქვას, დაიდებს წინ და მუშლსა და კოლოებს შეეჭევა — ისინი ხომ სიბნელიდან სინათლისაკენ ისწრაფვიან.

თარგმნა რ. კიკნაძემ



კლასგუნაკელი ქართული პიონერები

ბატონყმობა ახალი გადავარდნილი იყო.

მებატონის მიწაზე შრომით ილაჯგაწყვეტილ ლეჩხუმელ გლეხებს, ცოლ-შვილის გამოკვების სხვა საშუალება რომ ვერ მოეძებნათ, მიეტოვებინათ მშობლიური ადგილები, მთის კალთებზე მიყუჟული სოფლები, სათიბები, ვენახები, და დედაბუდიანად აყრილნი, საპალნეაკიდებულ ცხენებს ბარისაკენ მიუძღოდნენ. თავისუფალი მიწის ძიებაში, გადმოხვეწილები, სოჭის მიდამოებს მიადგნენ, მაგრამ მთას ნაჩვევებმა ბარში ვერ გაძლეს, მდინარე სოჭის ხეობას აყვნენ და ლეჩხუმივით ოღროზოღრო, დეღეებით დასერილ, ტყით შემოსილ მთის კალთაზე დასახლდნენ. ასე შეაფარეს თავი მშობლიურ სოფლებიდან აყრილმა ლეჩხუმელმა გლეხებმა ჩრდილოეთ კავკასიას და იქ ახალი სოფელი — პლასტუნკა დააარსეს.

ეს ამბავი გასული საუკუნის 65—67 წლებში მოხდა.

მრავალი ჭირი და დარდი ნახეს შეჩვეულ ადგილ-სამყოფელს მოწყვეტილმა ქართველებმა. მაგრამ შრომას შეჩვეულმა მარჯვენამ სასწაული მოახდინა: გაიჩეხა ტყე, გაჩნდა უხვმოსავლიანი ახლები, ხილმა ნაყოფი მოისხა, ვაზი ჭიგოს აყვა — თითქმის ლეჩხუმურად გაიმართა წელში.

... გაიარა კიდევ ათეულმა წლებმა. სოფელს გამოაკლდნენ თავაკები, დაიკარგა კავშირი ლეჩხუმთან. მაგრამ თაობიდან-თაობაში გადავიდა მოგონება მშობლიური კუთხის შესახებ — არ დაიკარგა ადათი, წესჩვეულება, ისევ ძველებურად ჟღერდა ქართული.

... კიდევ ათეული წლები, და პლასტუნკაში გაზაფხული მოვიდა, ოქტომბრის რევოლუციამ შრომის საერთო ფერხულში ჩააბა წარსულში მრავალჭირნახული პლასტუნკა.

ახლა პლასტუნკაში 140 ქართული ოჯახი ცხოვრობს, სოფლის სკოლაში კი ორმოცდაათამდე მოწაფე სწავლობს ქართულად. წერენ ქართულად, კითხულობენ ქართულ წიგნებს.

იანვრის [არდადეგების დღეებში პლასტუნკელი მოსწავლეები თბილისის ეწვიენ. გულთბილად მიიღეს სტუმრები პიონერთა სასახლეში. რვა დღის განმავლობაში თავს დასტრიალებდნენ თბილისელი პიონერები თანატოლებს; აჩვენეს თავიანთი შემოქმედება, დაათვალიერებინეს თბილისი, რუსთავი, იყვნენ თეატრებში.

— ბევრი რამაა საინტერესო ჩვენ სოფელში, ჩამოდით, ნახეთ, რა ბედნიერი ცხოვრება მოუტანა პლასტუნკას საბჭოთა ხელისუფლებამ. — თქვა სლავა ჩაკვეტაძემ გამომშვიდობების წინ.

— გნახავთ, აუცილებლად გნახავთ! — დაპირდნენ თბილისელი მოსწავლეები და გულთბილად გააცილეს ახალშეძენილი მეგობრები.

მ რ ი ა რ ა კ ი

თ ხ ა ლ ა მ გ ე ლ ი

შიშით აკანკალებულ თხას მგელი დაედევნა. ბოლოს თხა კლდის ისეთ ქიმზე ავიდა, სადაც მგელი ასვლას ვერ მოახერხებდა, და შეჩერდა. ციცაბო კლდე არ აძლევდა მგელს თხასთან ახლოს მისვლის საშუალებას. იგი კლდეს ეკვეთა, მაგრამ იძულებული გახდა შეჩერებულიყო: უკანა ფეხებზე ჩაცუტქდა და თხას მსუნავი თვალებით უხმოდ მიაჩერდა.

თხამ სამშვიდობოს იგრძნო თუ არა თავი, სული მოიბრუნა და მგელს ლანძღვა-გინება დაუწყო:

— აი, შე უმსგავსო! შე ქურდო და ყაჩაღო! როგორ მეზიზღები! რომ იცოდე, რა სიამოვნებით გაგვლეჯდი, მაგრამ ამ კლდიდან ჩამოსვლა მეზარება. შე უსინდისო, შენა!



— რა სულელი ხარ, შე უტვინო! ესმის კი მაგ შენს ცარიელ გოგრას, რომ ყველაფერს, რასაც ახლა ამბობ, შენ კი არა, ის ადგილი ლაპარაკობს, რომელზედაც დგახარ. — უპასუხა თხას მგელმა.



ს ა ლ ი ლ ი

ძ უ ნ წ ე ბ თ ა ნ

მასპინძლები ძუნწები იყვნენ. ისინი კარგა ხანს ელაპარაკნენ სტუმარს ცარიელ მაგიდასთან.

— ნეტავი სიმინდის ფქვილის ფაფა მაინც გაგეკეთებინა და სუფრაზე მოგეტანა. სტუმარს ალბათ მოშივდა კიდევ, — უთხრა ცოლს ქმარმა.

— ფაფა უკვე გაკეთებულად და სუფრაზე მოტანილად ჩათვალე. შენ ის გიჯობს ერთი ბოთლი ღვინო გამოიტანო მაგიდაზე. — უპასუხა ცოლმა.



— ღვინო უკვე მოტანილად ჩათვალე, — მიუგო ქმარმა.

— ჩემზე ნუ სწუხართ, — თქვა სტუმარმა, — ისე ჩათვალეთ, თით-

ქოს უკვე კიდევცა ვსვი და კიდევცა ვკამე.

თარგმნა ეთერ ჩხიკვაძემ

სიცოცხლის ხანგრძლიობა



1737 წელს, ინდოეთის ოკეანის ერთერთ კუნძულზე დაიჭირეს უზარმაზარი კუ, რომლის ასაკი იმხანად მეცნიერებმა ასი წლით განსაზღვრეს. კუ ინგლისში წაიყვანეს და ზოობარკში მოიჭინის ბინა, ეს კუ შესაძლებელია დღესაც ცოცხალი იყოს, რადგან ჩვენი საუკუნის ოციან წლებში, 300 წელს მიღწეული გიგანტი შესანიშნავად გრძობდა თურმე თავს.

არა ნაკლებ ხანს ცოცხლობენ ნიანგები, რომლებიც ზოგიერთი ცნობების მიხედვით სამასი წლის ასაკს აღწევენ. საინტერესოა, რომ ნიანგი სიკვდილამდე განგრძობს ზრდას, ამიტომ ღრმად მოხუცებული ნიანგები ზოგჯერ სიგრძით 10-12 მეტრს აღწევენ.

გავრცელებული იყო აზრი, რომ ცხოველებს შორის ყველაზე დიდხანს თითქოს სპილო და ვეშაბი ცხოვრობს. ეს არ არის სწორი. დღეს დამტკიცებულია, რომ სპილო ძლივს აღწევს 80 წლის ასაკს. ხოლო ვეშაბი 50 წელს იშვიათად თუ გადაცილებდა.

ხანგრძლივი სიცოცხლით გამოირჩევიან წყლის ზოგიერთი ბინადარნი. თევზებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ქარიყლაპია—რომელიც 200 წლამდე ცოცხლობს. შედარებით ხანმოკლე სიცოცხლე აქვს კიბოს—20-30 წელი. ბაყაყი 15 წლამდე ცოცხლობს.

ფრინველებში განსაკუთრებით ხანგრძლივი სიცოცხლით გამოირჩევა ყვავი, რომელიც 140 წელს ცოცხლობს. შავარდენი ას წელს აღწევს, არწივი—80-ს. შინაურ ფრინველებში სიცოცხლის ხანგრძლიობით გამოირჩევა ბატი იგი 80 წლამდე ცოცხლობს, ქათმები კი იშვიათად თუ გადასცილებიან 20 წელს.

მცენარეთა შორის სიცოცხლის ხანგრძლიობა ასეთია: მსხლისა და ალუბლის ხე—300 წელს ვერ აჭარბებენ. ფიჭვი და ნაძვი 1500 წლამდე ძლებენ, მუხა კი—500-ით მეტს. დიდ ასაკს, დაახლოებით 3500 წელს აღწევენ კალიფორნიაში გავრცელებული მამონტის ხეები. უხუცეს მცენარეებად დედამიწაზე მექსიკური კვიპაროსები ითვლებიან, რომლებიც 10-000 წლამდე ძლებენ.



რობინზონი მოზონილი არარის

1709 წლის თებერვალი იყო. ოკეანეში მიკარგულ ერთ უდაბურ კუნძულთან ღუზა ჩაუსვა ინგლისის გემმა. წყალში ნავი ჩაუშვეს და შვიდი მეზღვაური ოფიცრის თანხლებით კუნძულისაკენ გაემართა. ორიოდე საათის შემდეგ ნავი უკან დაბრუნდა და მეზღვაურებთან ერთად გემბანზე საშინლად გაჩეჩილი ადამიანი ამოვიდა. შიშველი სხეული თხის ტყავის ნაჭრებით ჰქონდა დაფარული, შეშინებული აცეცებდა თვალებს, ხელებს იქნევდა, რალაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ ყელიდან რალაც უცნაური ბგერები ამოსდიოდა.

ასე მოხვდა 50 თვის განმავლობაში უდაბურ კუნძულზე მარტოდ-მარტო ყოფნის შემდეგ ინგლისელი მეზღვაური სელკვიკი ისევ თავის თანამემამულეთა შორის.



ოთხი წლის წინ, კაპიტანთან უთანხმოების გამო, სელკვიკი უდაბურ კუნძულზე გადაესვათ და მარტოდ დარჩენილისათვის ზოგიერთი აუცილებელი ნივთის გარდა არაფერი დაეტოვებიათ. პირველ ხანებში მას ძალზე გაუძნელდა ცხოვრება, გარეული მხეცებით დაშინებული მთელ ღამეებს უძილოდ ატარებდა, არ აინტერესებდა არაფერი. იმედდაკარგული იმასდა ფიქრობდა, ამ კუნძულზე ამომხდება ალბათ სულიო. მაგრამ გაიარა დრომ, სელკვიკმა დაძლია შიში, უიმედობა, შეურიგდა თავის სვედრს და მომავალზე დაიწყო ზრუნვა. აიშენა ქოხი, მოიშინაურა გარეული თხები, დაიწყო ნადირობა ზღვის კუზე. ეძებდა ათასგვარ ხილს და საკვებად გამოსადეგ მცენარეთა ფესვებს. შემდეგ კალენდარიც კი გააკეთა. 1709 წელს სელკვიკი დაბრუნდა სამშობლოში.

1719 წელს კი ლონდონში გამოვიდა დანიელ დეფოს წიგნი—„რობინზონ კრუსოს ცხოვრება და არაჩვეულებრივი თავგადასავალი“. წიგნის საფუძვლად დეფოს სელკვიკის ნამშობი დაუღვეს.

ასე დაიწერა წიგნი, რომელიც დღეს მსოფლიო ბოჟულარობით სარგებლობს.



ფუნიაჟულიორით 3797 მეტრზე

თითქოს ეზარებაო, ნელა იძვრის ვაგონი. აი, იგი გამოვიდა კიდევ თავის ბეტონის ბუდიდან და, ბაგირზე დაკიდებული, უძირო უფსკრულის თავზე მოექცა. სადღაც, სულ ქვემოთ, ასეული მეტრის სიღრმეზე ქვევითა და ყინულით ჩახერგილი ხეობაა. უზარმაზარ ნაპრალებს თითქოს პირი დაუღიათ ადამიანის ჩასაყლაბად. 45 მეზავრი სუნთქვაშეკრული იყურება ძირს.

ასე იწყება მოგზაურობა მსოფლიოში ყველაზე მაღალ ფუნიაჟულიორზე, რომელიც ახლანახან ააგეს საფრანგეთის ალპებში. ეს საბაგირო გზა ექვსი კილომეტრის სიგრძეზეა გადაჭიმული. ქვედა სადგური 1500 მეტრზეა ზღვის დონიდან, ზედა კი 3797 მეტრს აღწევს. სწრაფად იწვეს ვაგონი მაღლა, შემოთოთებულ მგზავრებს ძლივს ამშვიდებს გამცილებლის ახსნა-განმარტება საბაგირო გზის თითქმის სრული უხიფათობის შესახებ. ბუნების საოცარი სილამაზით მოჯადოებული მგზავრები თვალს ვერ აცილებენ თოვლით დაფარულ მთებს. თანდათან სიმაღლევ იგრძნობა: ყურში უსიამოვნო შხუილი ესმით, სტკივათ საფეთქლები, ვაგონი კი სულ მაღლა და მაღლა, მწვერვალისაკენ მიიწევს. კიდევ ცოტაც და იგი ზედა სადგურში შედის. კლდეში გამოკვეთილი სასახლის აივანიდან ტურისტები დიდხანს ტკბებიან ალპების მომაჯადოებელი სილამაზით.


კ რ ი პ ტ ო ბ რ ა მ ა

- I—7, 19, 18, 9, 12, 24, 16.—კენკროვანი მცენარე.
- II—10, 19, 16, 18, 7, 23.—კურორტი მაიაკოვსკის რაიონში.
- III—5, 16, 2, 24, 16.—გარეული ცხოველი.
- IV—11, 19, 22, 19, 18, 16.—ხის ჯიში.
- V—20, 8, 18, 15, 24, 16.—შემადლებული ადგილი.
- VI—17, 8, 2, 19.—მამაკაცის ტანსაცმელი.
- VII—1, 19, 6, 19, 4, 19.—მოწნული ჭურჭელი.
- VIII—19, 21, 19, 3, 16.—ნახევრად ძვირფასი ქვა.
- IX—14, 23, 13.—ნაცვალსახელი.

თქვენს წინაშე ციფრების 9 ჯგუფია, იპოვეთ მათი შესაბამისი კითხვების პასუხები, სიტყვები და ამ სიტყვების ასოები შეცვალეთ მოცემული ციფრების მიხედვით.

თუ სიტყვებს სწორად შეარჩევთ და ასოებს ციფრების მიხედვით ჩასვამთ კრიპტოგრამის უჯრებში, მიიღებთ ვ. მაიაკოვსკის ლექსის „ვინ მინდა ვიყო“-ს ერთ ტაბეს.

რ. თავდიდისფილი



პასუხი „პიონერი“ № 4-ში მოთავსებულ ბასართობზე

პასუხი „თავსატმისზე № 3“

მენავემ პირველ შვიდ გადასვლაზე გადაიტანა თითო ერთკილოგრამიანი ტვირთი, მერვე გადასვლაზე ერთი სამკილოგრამიანი, მეცხრეზე—ერთი ხუთკილოგრამიანი და მეათეზე—ერთი ათკილოგრამიანი; სულ 25 კგ.

პასუხი „თავსატმისზე № 1“

- 1) 1+2+11+12=26;
- 2) 3+4+9+10=26;
- 3) 5+6+7+8=26.



„საუფესვიპალო კაბები“

თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეს ოლესია თავაძის მრავალმა ნამუშევარმა პრემია და მაღალი შეფასება დაიმსახურა ბავშვთა სახვითი შემოქმედების გამოფენებზე საბჭოთა კავშირში, ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ამერიკაში და სხვა ქვეყნებში. „ბავშვთა ნახატების გამოფენაზე საბჭოთა კავშირიდან განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქართველი გოგონას ოლესია თავაძის ნამუშევრებმა. ბავშვებს, განსაკუთრებით კი გოგონებს, ძალზე მოეწონათ ყვავილები და ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი თოჯინები.“—ასეთი გამომხატურება მიიღეს საკავშირო ალკ კენტრალურ კომიტეტში ამერიკიდან.

ხატვა გოგონამ სულ პატარაობისას დაიწყო. ხატავდა თოჯინებს და კაბებს თავისი თოჯინებისათვის, ხატავდა ყვავილებს, შემდეგ ორნამენტებს. ოლესია თავაძე დაჯილდოვებულია ფერების შენაშენების დიდი გრძნობით და იშვიათი ფანტაზიით. წარმატება ოლესიას ყვავილები და თოჯინები. როცა ოლესიას ნახატი დაიბეჭდა ჟურნალ „სოვეტსკაია ენჩინა“ში, რომელიც ექვს ენაზე გამოდის, ბევრი უცხოელი მეგობარი გაუჩნდა ოლესიას. ახლა მას გულთბილი მიწერ-მოწერა აქვს მათთან. მათ შორის ბევრს უყვარს ხატვა. ისინი სიამოვნებით უგზავნიან ოლესიას თავიანთ ნამუშევრებს: ფერადი ქაღალდისაგან ოსტატურად გამოჭრილ ყვავილებს—ჩინეთიდან, პეიზაჟებსა და ილუსტრაციებს—ჩეხოსლოვაკიიდან, მშვენიერ კაბებში გამოწყობილ თოჯინებს—ბულგარეთიდან...

ჩვენი ბიონერები ამჟამად დიდი ხალხით ემზადებიან ბიონერული და ახალგაზრდული ფესტივალებისათვის. ოლესიამაც მოუმზადა თავის თოჯინას—„მზიას“ [საფსიქოლოგო კაბები, რომლებსაც ჩვენი ჟურნალის მე-4-ე გვერდზე ვბეჭდავთ.

ბავშვებო, იქნებ თქვენს შორისაც არიან ისეთები, რომლებიც თავიანთ თოჯინებსაც უმზადებენ ლამაზ საფსიქოლო კაბებს, გამოვავიჯვანეთ რედაქციაში თქვენი [ნამუშევრები, საუკეთესოებს დავბეჭდავთ.

რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი
ა გ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ

ფასი 2 მან.


„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. № 5 1957
Тбилиси, Плеваханова, 91. მისამართი: თბილისი, პლევანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85.

№ 01241, ტირ. 15.000, ხელმოწ. დასაბ. 13/V-57 წ. სტამბის შეკვ. № 501, გამომც. შეკვ. № 150
საქ. კპ. ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი“.

აუბოიბო



ნახატი ხუმრობა რ. ცუცქერიძისა



თემა ა. თაყაიშვილისა

მოსწავლის ლექსიკონი

საშინაო დავალება — ზოგი მოსწავლე კლასში ასრულებს.

თუთიუში — ზოგიერთ მოსწავლეს არა გავს — გამეორება უყვარს.

ჩანთა — კენჭურუს აქვს, ზოგ მოსწავლეს კი არა.

ტორილა — მხოლოდ ტყეში უსტვენს, ზოგი მოსწავლე კი — კლასში.

რძე — გამოცდები არა აქვს და მაინც იჭრება.

„შპარგალკა“ — როდესაც ცოდნა თავში კი არა — ხელში აქვთ.

ტრამვაის ბილეთი — ზოგიერთ მოსწავლეს გამოცდის ბილეთი ჰკონია და არ იღებს.


ფეხბურთი — ფანჯრების ჩასამტვრევი თამაში ქუჩაში.

სუსტი მოსწავლე — ბრინჯი არ არის, მაგრამ გამოცდაზე ბრინჯივით იბნევა.

დანა — სასწავლო ნივთი — მერხის საკრელად ხმარობენ.

საკლასო დაფა — თვითონ შავია, ზოგს კი აწითლებს.

შეადგინა ა. თაყაიშვილმა



ნახატი — ხუმრობა რ. ცუცქერიძისა

თემა გ. ფანჯიკიძისა

